# საერთო გაზეთი

№18 (476) • 16 მაისი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი


# თავისუფლება, რომელიც კლავს

**ვახტანგ ხარჩილავა:**

რუსთაველის პროსპექტზე 12 მაისს მოძრაობა „თეთრი ხმაურის“ მიერ გამართული მიტინგზე ყველაზე ხშირად სიტყვა თავისუფლება ისმოდა და აქციის მთავარი სლოგანიც ეს იყო „ჩვენი თავისუფლებისთვის გამოდი გარეთ“, თუმცა რა იგულისხმებოდა ამ სიტყვის ქვეშ, რისთვის სჭირდებოდათ და რისთვის ითხოვდნენ ეს ახალგაზრდები ასე ემოციურად და პათეტიკურად თავისუფლებას, ამაზე საუბარი არ ყოფილა, მაგრამ, თუ გავიხსენებთ „თეთრი ხმაურის“ მიერ ორგანიზებულ სხვა აქციებს და იქ გაჟღერებულ მოთხოვნებს, ცხადი იყო, რა იყო 12 მაისის მიტინგის სიტყვა თავისუფლებით შენიღბული ქვეტექსტი.

მოკლედ და მარტივად რომ ვთქვათ, მოძრაობა „თეთრი ხმაურის“ მესვეურებს თავისუფლება იმისთვის უნდათ, რომ თავისუფლად მოიხმარონ ნარკოტიკები და ამისთვის არავინ დაისაჯოს.

კი, ბატონო, დავუშვათ და სახელმწიფომ ყველანაირი შეზღუდვები მოხსნა ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით და სრული თავისუფლება მისცა ნარკოტიკების მომხმარებლებს, რას მივიღებთ შედეგად?

რა მოაქვს ამგვარ თავისუფლებას და, ზოგადად, თავისუფლების რა კატეგორიაა ეს?

**ეს არის თავისუფლება, რომელიც კლავს, თავისუფლება, რომელიც სულიერად და ფიზიკურად ანადგურებს და ამახინჯებს ადამიანებს, და, რაც მთავარია, ეს არის ის თავისუფლება, რომელიც თავისუფლებას ართმევს და ნარკოტიკების მონად ხდის ყველას, ვინც ამგვარ „თავისუფლებას“ ეზიარება.**

აი, ასეთი თავისუფლება გინდათ თქვენ, ძვირფასო ახალგაზრდებო, თავისუფლება, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებლად მოგკლავთ, თავისუფლება, რომელიც მონად გაქცევთ და როცა მიხვდებით, რომ იღუპებით და ამ მონობიდან თავის დაღწევას შეეცდებით, უცებ აღმოაჩენთ, რომ ეს თითქმის შეუძლებელია.

აი, ამ თავისუფლებას სთავაზობთ თქვენ ადამიანებს, ნარკომანიის ნაბიჭვარო აგიტატორებო?

ბოდიშს ვიხდი საზოგადოებასთან ამგვარი მიმართვისთვის, მაგრამ მათ, ვინც თავისუფლების სახელით სიკვდილს და მონობას სთავაზობენ ადამიანებს, ნაბიჭვრის გარდა სხვა რა სახელი ვუწოდო?

იქნებ სატანის მოციქულები სჯობდეს?

ნამდვილად სჯობია, რადგან სატანურია იდეები, რომლებსაც ისინი ქადაგებენ, სატანურია მიზანი, საითკენაც ისინი ადმიანებს უბიძგებენ, სატანურია ის მუსიკაც, რომლის დიდხანს მოსმენაც ნარკოტიკული თრობის გარეშე შეუძლებელია.

თავიდან ბოლომდე სატანურია მთელი ეს კომპლექტი, მთელი ეს ბუკეტი, ე.წ. კლუბური მუსიკით და კლუბური ნარკოტიკებით, რომელიც ერთ მთავარ მიზანს ემსახურება — ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედება, ადამიანებისთვის ტვინის გამორეცხვა და მათი ბიოლოგიურ რობოტებად ქცევა.

— ეს არის ბრძოლა პროგრესსა და განუვითარებლობას შორის! — აცხადებს „პროგრესული“ „მწერალი“ ლაშა ბუღაძე, თვითონაც რომ რაღაცით ჰგავს სატანის ბიძაშვილს.

**საქართველოვ, დაიმახსოვრე მათი სახეები, ვინც 12 მაისს „თეთრი ხმაურის“ მხარდასაჭერად მივიდა და მწერლების სახელით, ინტელიგენციის სახელით, ჟურნალისტების სახელით, პოლიტიკოსების სახელით წაახალისა და წააქეზა აქციის მონაწილეები.**

ისინი, პირველ რიგში, იმ ახალგაზრდების მტრები არიან, რომლებსაც ვითომ მხარდაჭერა გამოუცხადეს.

ისინი ქვეყნის მტრები არიან, თუმცა, ჩვენდა გასაკვირად, ამ ქვეყნის მტრებმა უკვე მთლიანად დაიპყრეს ქართული ტელევიზიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, შეაღწიეს სახელმწიფო სტრუქტურებში, დაიბუდეს პოლიტიკურ პარტიებში და თუ ასე გაგრძელდა, მალე მთელ ქვეყანასაც დაიპყრობენ.

სატანისტების არმია ებრძვის საქართველოს და მის სხეულში შეპარული შიგნიდან უჭამს გულ-ღვიძლს.

სატანის მოციქულები გვპარავენ შვილებს და შვილიშვილებს, გვპარავენ მომავალს, გვპარავენ ხვალინდელ დღეს და საზოგადოება ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს ბოლომდე, რა კატასტროფის წინაშე ვდგავართ.

— გაუშვით, მოიკლან თავი, თუ ასე უნდათ! — ასეთი რეპლიკებიც გაისმა აქა-იქ.

ისინი მხოლოდ თავს კი არ იკლავენ, კლავენ სხვებსაც, სიკვდილის ბანგით გათანგულ ბურანში ითრევენ და სიკვდილისთვის ამზადებენ, ისე, როგორც ტერორისტები ამზადებენ თვითმკვლელებს იმ დაპირებით, რომ მაღლა, ცაში ცხონდებიან.

სამსხვერპლოდ განწირულებს სიტყვა თავისუფლება შემოარტყეს წელზე შაჰიდის ქამრად, რომელშიც ბომბის ნაცვლად ნარკოტიკებია ჩაკერებული.

ვინც ამას აკეთებს, მათ იციან, რომ ეს ახალი ყაიდის მოდერნიზებული შაჰიდის ქამარი აუცილებლად აფეთქდება და ათობით და ასობით სიცოცხლეს შეიწირავს.

...ისინი წავიდნენ და დაიქადნეს, შაბათს დავბრუნდებითო!

ისინი ვერ უნდა დაბრუნდნენ უკან ვერც შაბათს, ვერც კვირას, ვერც ორშაბათს, ვერც ვერასოდეს.

ქართველმა ხალხმა, საქართველოს ხელისუფლებამ ეს არ უნდა დაუშვას!

**განსაკუთრებული მადლობა** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ 12 მაისს რუსთაველის პროსპექტზე გამართული პროვოკაციული და თავისი არსით ანტისახელმწიფოებრივი აქცია მშვიდობიანად დასრულებულიყო.

**განსაკუთრებული მადლობა** შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ გიორგი გახარიას, რომელმაც ურთულეს ვითარებაში მაღალი კლასის პოლიტიკოსისთვის დამახასიათებელი ყველა საუკეთესო თვისება გამოავლინა.

**განსაკუთრებული მადლობა** ყველა პოლიციელს, ყველა სპეცრაზმელს, უსაფრთხოების სამსახურის ყველა თანამშრომელს, რომლებიც ამ მძიმე დღეებში ერთგულად იდგნენ ქართული სახელმწიფოს, ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე.

ჩვენი აზრით, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებიდან მეორე დღეს, 12 მაისს, **ქართული სახელმწიფო საბოლოოდ შედგა!**

„საერთო გაზეთის“ რედაქცია

# „მე მწამს საქართველოსი, მჯერა ჩვენი განსაკუთრებულობის, მჯერა ჩვენი ევროპული პერსპექტივის და ზუსტად ვიცი, რომ აუცილებლად დავიბრუნებთ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს“

## ბიძინა ივანიშვილის სიტყვა პოლიტიკური ორგანიზაცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ V ყრილობაზე

მოგესალმებით ყველას,

მაინც მომიწია ამ ტრიბუნასთან დადგომა.

დიახ, მომიწია იმ თანამიმდევრობის დარღვევა, რომლის შესახებაც პოლიტიკაში შემოსვლისთანავე განვაცხადე, მაგრამ როცა შენს ხალხზე, ქვეყანაზეა ლაპარაკი და ვითარება გადაწყვეტილების შეცვლას ითხოვს, გაჯიუტება საკუთარ თავთან არასწორია.

ვიდრე უშუალოდ პოლიტიკაში ჩემი დაბრუნების მიზეზებზე გადავიდოდე, რამდენიმე სიტყვით ჩვენი ერთად განვლილი გზა მინდა მიმოვიხილო.

დღეს არ ვაპირებ ხელისუფლების საქმიანობასა და მოღვაწეობაზე ვრცელი და დეტალური ანგარიში წარმოვადგინო, მითუმეტეს, რომ ეს არ არის ჩემი პრეროგატივა, მაგრამ თავს ვალდებულად ვთვლი, რომ მოქალაქეობრივი

პასუხისმგებლობით და სიამაყითაც კი, ხაზი გავუსვა იმ ფუნდამენტურ სახელმწიფოებრივ გამარჯვებებს, რასაც ხელისუფლებამ ისტორიულად ძალზე მოკლე დროში, არასრულ ექვს წელიწადში მიაღწია.

პირადად ჩემთვის და, დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ის დემოკრატიული ტრანსფორმაცია, რომელიც ქვეყანამ განიცადა ბოლო წლების განმავლობაში.

დღეს საქართველოს მოქალაქეები რეალურად თავისუფლები და სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი თვითნებობისაგან დაცულნი არიან. შეგახსენებთ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სწორედ ეს იყო ჩვენი ხალხის ერთ-ერთი მთავარი ეროვნული ამოცანა. ისინი დემოკრატიული გზით ირჩევენ ხელისუფლებას და თავადვე ანიჭებენ მას სახელმწიფოს მართვის ლეგიტიმაციას.

დღეს ჩვენ გვყავს არა არჩევნების გაყალბებით, დაშინებითა და ძალადობით მოსული, არამედ ხალხის ნდობის საფუძველზე შერჩეული, ცხადია, არა უნაკლო, მაგრამ რაც მთავარია, ადამიანზე, როგორც მთავარ ღირებულებაზე ორიენტირებული ხელისუფლება. ამის თვალსაჩინო მაგალითი, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საყოველთაო ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

დღეს სრულად დაცული და ხელშეუხებელია ერთ-ერთი მთავარი სოციალური ინსტიტუტი, ადამიანის თავისუფალი განვითარების ძირითადი საფუძველი – კერძო საკუთრება, რომელიც წინა ხელისუფლების დროს ფეხქვეშ გათელილი და განადგურებული იყო. აღარ არსებობს ელიტარული კორუფცია, ხელისუფლებასთან შეზრდილი ბიზნესმენების მიერ ხელში ჩაგდებული და მონოპოლიზებული სფეროები, სადაც ფეხის შედგმის გაფიქრებაც კი ჩვეულებრივ მეწარმეს მრავალწლიან პატიმრობად და მთელი ქონების დაკარგვად უჯდებოდა.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ დღეს, ისე როგორც არასდროს, საქართველოს ისტორიაში, თავისუფალი და დაცულია ბიზნესი – ქვეყანაში დოვლათის შექმნისა და კეთილდღეობის მთავარი საფუძველი, რაც ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა.

სწორედ ამან განაპირობა, რომ მსოფლიო ეკონომიკაში ბოლო წლებში არსებული არასტაბილურობისა და რყევების მიუხედავად, საქართველო ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით, კაპიტალის დაბანდების თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი და საინტერესო ქვეყანაა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობამ კი შარშან საქართველოს ისტორიაში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.

ბოლო 5 წლის მონაცემებით, ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით, საქართველო ლიდერობს რეგიონში, ხოლო სავალუტო ფონდის ბოლო, განახლებული მონაცემებით, მომავალი 6-წლიანი ეკონომიკური ზრდის პროგნოზით, საქართველო ლიდერია არათუ რეგიონში არამედ ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორისაც.

ხელშესახები პროგრესი გვაქვს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სამართალდამცავი ორგანოების დეპოლიტიზირების კუთხით, რადიკალურ გარდატეხას მივაღწიეთ პენიტენციალურ სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით.

წარმატებით დავასრულეთ საკონსტიტუციო რეფორმის რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესი და იმ კონსტიტუციის

ნაცვლად, რომელიც ფორმალურად ამართლებდა ერთი ადამიანის მარადიულ მმართველობას, მივიღეთ ხალხის მმართველობაზე ორიენტირებული ევროპული სტანდარტის ძირითადი კანონი.

ეს კონსტიტუცია საქართველოს შეუქცევადი დემოკრატიული პროგრესის საყრდენი და წინაპირობაა!

თვალშისაცემია წინსვლა საგარეო მიმართულებით. არასოდეს საქართველო ისე დაახლოებული არ ყოფილა ევროპასთან და ნატოსთან, როგორც ამჟამად.

ჩვენ ერთიანი ევროპული ოჯახის ასოცირებული წევრები ვართ და ეს ფაქტი უკვე იურიდიულადაც დადასტურებულია. ამოქმედებულია ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობისა და უვიზო მიმოსვლის რეჟიმი, რომლითაც უამრავმა ადამიანმა ისარგებლა.

საგრძნობლად განმტკიცდა და გაღრმავდა ურთიერთობა ჩვენს სტრატეგიულ მოკავშირესთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

ჩვენ ნაწილობრივ უკვე მოვახერხეთ რუსეთთან ურთიერთობის დეესკალაცია და ვიმედოვნებთ, რომ საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით, შესაძლებელი გახდება ურთიერთმოსმენისა და დიალოგის რეჟიმზე გადასვლა, რაც ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანების ნაბიჯ-ნაბიჯ მიღწევის პერსპექტივებს შექმნის.

და ბოლოს, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ყველაზე ცვალებად, არაპროგნოზირებად, ტერორიზმისა და გლობალური სამხედრო კონფლიქტის საშიშროების წინაშე მდგარი მსოფლიოს პირობებში, როცა არნახულად მაღალია გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური

ინტერესების დაპირისპირების ხარისხი, ჩვენ შევძელით საქართველოს მოქალაქეებისათვის უსაფრთხოებისა და მშვიდობის უზრუნველყოფა. ჩვენ შევძელით სტაბილურობის შენარჩუნება.

ახლა მინდა დღევანდელ მთავარ სათქმელს დავუბრუნდე.

რატომ ვბრუნდები პოლიტიკაში, მაშინ, როცა რამდენიმე წლის წინ საჯაროდ განვაცხადე, რომ ამ გადაწყვეტილებას მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში მივიღებდი. რატომ გადავწყვიტე ახლა, კვლავ ჩავუდგე სათავეში იმ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც 2012 წელს დავაფუძნე და ჩემს ხალხთან ერთად შევასრულე ჩემს ცხოვრებაში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე საპატიო მისია – დავამარცხეთ და, დარწმუნებული ვარ, ქვეყნის მართვას საბოლოოდ ჩამოვაშორეთ მოძალადე და ხალხის მჩაგვრელი ხელისუფლება.

ამის შემდეგ საკუთარი ინიციატივით გავედი აქტიური პოლიტიკიდან, რადგან ჩავთვალე, რომ ჩემი როლი საზოგადოების განვითარებაში უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა და დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ ეს იყო სწორი გადაწყვეტილება, ვინაიდან ის, რაც ჭარბად გამაჩნდა – ხალხის ნდობა – ხელისუფლებაზე მეტად მაშინ საზოგადოებას უფრო სჭირდებოდა.

მაშ ახლა რატომღა ვდგამ ამ ნაბიჯს, რატომ გახდა საჭირო პოლიტიკაში ჩემი დაბრუნება? ეს არის კითხვა, რომელზეც საზოგადოება ჩემგან მკაფიო პასუხს ელის და მეც მზად ვარ, გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრებები.

ვინც ახლოს მიცნობს, კარგად იცის, რომ ეს ჩემთვის საკმაოდ რთული გადაწყვეტილება არც დღევანდელი ხელისუფლების, არც „ქართული ოცნების“ და, მითუმეტეს არც ჩემი პირადი ინ-

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აბლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ტერესებიდან გამომდინარე არ მიმიღია. ისევე, როგორც 2011 წლის ოქტომბერში, მიზანი ამჟამადაც იგივე და უცვლელია: საქართველოს, საქართველოს ხალხის და თითოეული ოჯახის კეთილდღეობა და ღირსეული მომავალი!

ამიტომ ახლა სწორედ ჩემს ხალხს მინდა მივმართო!

ჩვენ ვდგავართ ძალზე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე, რასაც პირობითად სამი მიზეზი განსაზღვრავს და უქმნის ნოყიერ ნიადაგს.

პირველი მიზეზია – ობიექტურად არსებული არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ამ, ისედაც რთული ვითარების კიდევ უფრო მძაფრ, ხელოვნურად დამძიმებულ ფერებში წარმოჩენის განუწყვეტელი მცდელობები;

მეორე – ოპონენტების უმრავლესობისგან

მომდინარე უკიდურესად დესტრუქციული მუხტი და ბოლოს, მესამე – ხელისუფლების შიგნით არსებული, მართალია სუსტი, მაგრამ მაინც სრულიად არასაჭირო, უსაფუძვლო და ქვეყნის ინტერესების დამაზიანებელი გაუგებრობები.

უფრო დეტალურად შევჩერდეთ თითოეულ მათგანზე. ზედმიწევნით კარგად ვიცი, რა სირთულეების წინაშეა დღეს რიგითი მოქალაქე. ჩვენ ხომ ჯერ კიდევ ვერ დავაღწიეთ თავი იმ ეკონომიკურ სიდუხჭირეს, რომელშიც დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე განვითარებული, მათ შორის, სისხლიანი კატაკლიზმების შედეგად აღმოვჩნდით.

ჯერ კიდევ არ გვქონდა მოშუშებული სამოქალაქო ომის იარები, როდესაც ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში ჩავებით, რასაც შედეგად რუსული ოკუპაცია

და მასობრივი დევნილების ორი ტალღა მოჰყვა.

სწორედაც რომ, თანამედროვე სახელმწიფო მართვის ტრადიციის არქონის კვალდაკვალ დაწყებულმა ქაოსმა უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია ქვეყანაში და სიღარიბე მასობრივ მოვლენად აქცია. დღემდე მწვავეა უმუშევრობის, ხოლო დასაქმებულთათვის არასაკმარისი ხელფასის, აგრეთვე პენსიების პრობლემა, – სამწუხაროდ ძვირდება ცხოვრება.

ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ დღევანდელ საქართველოში პოლიტიკურ პრობლემებს მნიშვნელოვანწილად ქმნის ის, რომ ერთის მხრივ გვაქვს თითქმის ევროპული ხარისხის დემოკრატია, რასაც მეორეს მხრივ ბევრად ჩამორჩება ეკონომიკური განვითარების დონე. დემოკრატიისა და ეკონომიკის დონეებს შორის ასეთი დისპროპორცია იმდენად უნიკალური მოვლენაა, რომ ძნელად თუ მოიძებნება რომელიმე სხვა ქვეყანა, სადაც ანალოგიური მდგომარეობაა. ტრადიციულ დემოკრატიებში ეკონომიკა და თავისუფლებები, როგორც წესი, ერთმანეთს ზრდიდნენ და ავსებდნენ.

ამ დისჰარმონიის აღმოფხვრა თანამედროვე საქართველოს უმთავრესი გამოწვევაა და ამ გზაზე, როგორ რთულ ამოცანადაც არ უნდა ჩანდეს ეს, ჩვენ არჩევანი დემოკრატიის სასარგებლოდ გავაკეთეთ და გადაჭრით ვთქვით, რომ ეკონომიკა უნდა დავაწიოთ დემოკრატიას და არა პირიქით. აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ დემოკრატიის მაღალი დონე და მუდმივად ვიზრუნოთ მის განვითარებაზე. დემოკრატია არის ჩვენი უპირობო არჩევანი, თუმცა, სწორედ ამ არჩევანისადმი ერთგულება გარკვეულწილად ზრდის ქვეყანაში პოლიტიკურ რისკებს, რადგან ავანტიურისტული ჯგუფები

დესტრუქციული ქმედებებით იბრძვიან ძალაუფლებისთვის.

ჩვენ ვცხოვრობთ გლობალური ინფორმირებულობის ეპოქაში, სადაც საქართველოს მოქალაქეები სარგებლობენ სრული საინფორმაციო თავისუფლებით და ხელმისაწვდომობით. ისინი, ამავე დროს, უვიზოდ მოგზაურობენ ევროპის და მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში და თვალნათლივ ხედავენ იქაური და აქაური ცხოვრების დონის შორის არსებულ უზარმაზარ ეკონომიკურ და სოციალურ კონტრასტს. განვითარებული ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტი ხშირად 5-ჯერ და 10-ჯერ აღემატება ჩვენსას. ასეთ დროს, ცხადია, ბუნებრივად ჩნდება სურვილი, რომ საქართველოში ცხოვრების დონე ევროპულს გაუტოლდეს და ეს დაუყოვნებლივ, ან მაქსიმალურად მოკლე დროში მოხდეს.

არაფერია უცნაური და გაუგებარი იმაში, რომ ხალხს უკეთესად ცხოვრება სურს, მაგრამ უცნაური და გაუგებარი ისაა, რომ საქართველოში თითქმის ვერ ვნახავთ პოლიტიკოსს და ექსპერტს, ვინც სამართლეს ეტყოდა და გასაგებად აუხსნიდა ადამიანებს, რომ ევროპას ასწლეულების განმავლობაში მრავალი ეკონომიკური და პოლიტიკური კატაკლიზმის გადატანა დასჭირდა, ვიდრე ცხოვრების დღევანდელ დონეს მიაღწევდა და რომ ბუნებაში ვერ იარსებებს ხელისუფლება, რომელიც შეძლებს ეკონომიკა წელიწადში ხუთი და ექვსი კი არა, არამედ ექვსასი პროცენტით გაზარდოს.

მედიის თავისუფლების ხარისხის მკვეთრმა ზრდამ, რაც ჩვენი ხალხის განსაკუთრებული მონაპოვარი და გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ უშუალოდ არსებული ხელისუფლების დამსახურებაა, უამრავ სიკეთესთან ერთად, განაპირობა სიცრუისა და პროპაგანდის მანქანის ძალიან დიდი სიმძლავრით ამუშავება. რიგი პოლიტიკური პარტიების მიერ მართული ტელევიზიები, ტყუილის წარმოების კონვეიერში ჩართული პოლიტიკოსები და ეგრეთწოდებული ექსპერტები მიზანდასახულად ნერგავენ უიმედობის, სასოწარკვეთილების და შიშის ატმოსფეროს. ეს „ცარიელი სიმრავლე“ ცდილობს დააჯეროს ხალხი, რომ ქვეყანა ინგრევა, ლამის აპოკალიფსი მოახლოვდა და ყოველივე ეს არის ამ ხელისუფლების საქმიანობის შედეგი, რომელიც თითქოს არაფერს აკეთებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. ცხადია, ეს ბრალდებები არცერთი მეტნაკლებად სანდო და დასაბუთებული არგუმენტით არ არის გამყარებული, თუმცა შეჭირვებული და სიდუხჭირით დაღლილი ადამიანები ამ ოსტატურად შეფუთულ ტყუილებს იყენებენ. გადაჭარბების გარეშე მინდა გითხრათ, რომ საქართველოში დღეს მიმდინარეობს არნახული საინფორმაციო იერიში ადამიანთა ცნობიერებაზე. ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა ერთგვარი სტანდარტი, რომლის თანახმადაც ფაქტს „ახალი ამბის“ სტატუსი მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიჭება, თუ იგი ნეგატიურ კონტექსტს შეიცავს.

სამწუხაროდ, ამ ნეგატიურმა ტრენდმა, პრაქტიკულად, საყოველთაო ხასიათი მიიღო და უნდა აღვნიშნო, რომ ხელისუფლებამაც სათანადოდ ვერ უპასუხა ამ გამოწვევას.

მეორე პრობლემა, რამაც დღევანდელი გადაწყვეტილების მიღებისკენ მიბიძგა, ქვეყანაში კონკურენტუნარიანი ოპოზიციის დეფიციტია. ჩვენი ოპონენტების უღირსი ნაწილი ხელისუფლებასთან არგუმენტირებული მეტოქეობის, გონივრული, უკეთესი ალტერნატივების

შეთავაზების და დასაბუთებული კრიტიკის ნაცვლად, შეპყრობილია მხოლოდ ანტიდემოკრატიული რევანშის წყურვილით.

ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან არა უკეთესი პროგრამების წარმოდგენაში, არამედ ქვეყანაში უპერსპექტივობისა და უიმედობის ატმოსფეროს დანერგვაში, რადგან კარგად იციან, რომ მხოლოდ ეროვნული პესიმიზმია მათი ის ერთადერთი პლაცდარმი, რომლიდანაც შეძლებენ ქართულ დემოკრატიაზე შურისძიებას. ხალხის ნდობის არქონის გამო, ისინი ვერ ხედავენ დემოკრატიული პროცედურებით ხელისუფლებაში მოსვლის პერსპექტივას და ამიტომაც ცდილობენ ისეთი განწყობის შექმნას, როდესაც არეულობა სიტუაციის შეცვლის ერთადერთ გზად უნდა მოეჩვენოს ხალხს.

ჩემთვის სრულიად ნათელია, რომ სწორედ ამ და ქვეყნის წინაშე არსებული სხვა მრავალი გამოწვევის ფონზე, ხელისუფლების შიგნით დაიწყო გარკვეული დაპირისპირება, რაც გასცდა პოლიტიკური გუნდისთვის მისაღებ დემოკრატიულობისა და აზრთა სხვადასხვაობის საზღვრებს და სწორედ ეს არის მესამე მიზეზი, რის გამოც მე პოლიტიკაში ვბრუნდები.

მტკიცედ მჯერა, რომ ჩვენ არ გვაქვს უფლება, ფუჭ კინკლაობაში, თუნდაც უმნიშვნელო დრო, ენერგია და რესურსი დავხარჯოთ. დაუშვებელია, პირადი უთანხმოებისა და წყენის გამო, საერთო პარტიული და მითუმეტეს ეროვნული ამოცანების შესრულებისთვის თუნდაც მცირე დაბრკოლების შექმნა. მე ვიგრძენი, რომ ჩემს მიერ შექმნილი პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, რომლის იდეოლოგიური მდგრადობა მის სახალხოობაშია, ამ პროცესების გაღრმავების

შემთხვევაში დაშორდებოდა ხალხს. ამიტომ გადავწყვიტე დაბრუნება, დიახ – მეორედ შემოსვლა საჯარო პოლიტიკაში.

დღეს ჩვენ ვიმყოფებით ისტორიული გარდატეხის მომენტში და სწორედ ახლა არ გვაქვს უიმედობისა და გულგატეხილობის უფლება. ჩვენ დღეს მხოლოდ გამარჯვებების უფლება გვაქვს!

მიუხედავად ჩვენი ქვეყნის მიმართ არსებული გულწრფელი მხარდაჭერისა, დემოკრატიის არარსებობის პირობებში, არცერთი ევროპული სახელმწიფო არ მიგვიჩნევდა სრულფასოვან, თანასწორ პარტნიორად. დემოკრატიის გარეშე ჩვენ განწირულნი ვიყავით, რომ საქართველოსა და ევროპას შორის დისტანცია შემცირების ნაცვლად, კიდევ უფრო გაიზრდებოდა. დემოკრატიის გარეშე, ჩვენ ვერასოდეს გავხდებოდით ევროპული ოჯახის წევრი. ექვსი წლის წინ,

ქართველმა ხალხმა დაძლია უიმედობა და გულგატეხილობა და თავისი ბედისწერა შეცვალა, ირწმუნა ჩვენი პოლიტიკური ძალის და მოიპოვა დემოკრატია. ჩვენ დემოკრატია არც მემკვიდრეობით მიგვიღია და არც ვინმეს კეთილი ნებით უბოძებია ზემოდან, ჩვენ ის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით ხელიდან გამოვგლეჯეთ რეჟიმს. და რაც ყველაზე მთავარია, უნიკალური ორგანიზებისა და პროცესების ფილიგრანული მართვის წყალობით, ჩვენ ეს უსისხლოდ მოვახერხეთ. სწორედ ამით დავამტკიცეთ, რომ ევროპელობა ჩვენი ცივილიზაციური არჩევანია. ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი: „ქართულმა ოცნებამ“ დემოკრატიას შეუქცევადობის პირველი მძლავრი იმპულსი მისცა და ამით გაუხსნა საქართველოს ევროპის კარი!

დემოკრატიაა ჩვენი უკომპრომისო ეროვნული იდეა და ჩემი ზეამოცანაა ამ მონაპოვარის შენარჩუნება და განვითარება. სწორედ ამისთვის ვბრუნდები საჯარო პოლიტიკაში!

სრულიად განჭვრეტად მომავალში ჩვენ ღირსეულად დავიმკვიდრებთ თავს ევროპულ ოჯახში, როგორც გამორჩეული, თვითმყოფადი ერი, უძველესი ქრისტიანული კულტურის, უნიკალური დამწერლობის და პოლიფონიის, ტრადიციული მეღვინეობის და ვეფხისტყაოსნის ქვეყანა, დასახლებული გულღია და ტოლერანტი ადამიანებით, სადაც სწამთ, რომ „სტუმარი ღვთისაა“. სტუმარმასპინძლობა ჩვენი ეროვნული იდენტობის ნაწილია და ძალიან მალე ეს გამორჩეული თვისება, მე ვიტყოდი – ჩვენი საწყისი უპირატესობა – სწრაფი განვითარების და კეთილდღეობის წყაროდ უნდა გადაიქცეს როგორც მთლიანად ქვეყნისთვის, ისე ათასობით ქართული ოჯახისთვის. საქართველოს შესწევს უნარი, რომ უმასპინძლოს არამხოლოდ მილიონობით ტურისტს, არამედ საუკეთესო პირობებით, უმაღლეს დონეზე უმასპინძლოს საერთაშორისო ფორუმებს, უმასპინძლოს დიდ ბიზნესს, გახდეს განათლების, სამედიცინო მომსახურების და მაღალი ტექნოლოგიების რეგიონალური ცენტრი – იყოს დიდი შესაძლებლობების ქვეყანა. საჭიროა მხოლოდ მიზანდასახულობა, რწმენა და შრომა, ყველაფერი დანარჩენი ჩვენ უხვად მოგვანიჭა ბუნებამ.

ხელისუფლების ვალდებულებაა, რომ უზრუნველყოს მშვიდობა, შეინარჩუნოს სტაბილური, უსაფრთხო და კონკურეტუნარიანი გარემო თითოეული მოქალაქისთვის.

მე მწამს საქართველოსი, მჯერა ჩვენი განსაკუთრებულობის, მჯერა ჩვენი ევროპული პერსპექტივის და ზუსტად ვიცი, რომ აუცილებლად დავიბრუნებთ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს და რომ უდიდესი წარსულის ხალხს გვექნება ღირსეული მომავალი! ეს არის ჩემი მთავარი და აბსოლუტური მიზანი! ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ და გავიმარჯვებთ! სწორედ ამიტომ დავბრუნდი პოლიტიკაში!

# ტყუილად აქვთ იმედი – ნარკომანები, პლანაქეშები, დედათმავლები და მამათმავლები საქართველოში რევოლუციას ვერ მოახდენენ!

***გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე:***

**— ბატონო ელიზბარ, „ბასიანში“ ჩატარებულ სპეც.ოპერაციას „თეთრი ხმაურის მოძრაობის“ ინიციატივით რუსთაველზე აქცია მოჰყვა. როგორ აფასებთ ამ ფაქტს?**

— ნორმალური ადამიანი, ვისაც კი აზროვნების უნარი აქვს, ამ აქციას დადებითად ვერ შეაფასებს. გამოსვლების, მიტინგების მეტი რა მინახავს, ახალგაზრდობიდან მოყოლებული სულ აქციებში ვარ ჩართული, მაგრამ არ მახსოვს, ჩვენ, სამშობლოს, ეროვნების დასაცავად და დამოუკიდებლობის მოპოვების გარდა სხვა მოთხოვნა გვქონოდა. მაშინ ჭეშმარიტი ქართველი ხალხი იკრიბებოდა, რომელიც სამშობლოსთვის იწვოდა და იღწვოდა. ახლა კი ამ პიდარასტების, მორფინისტების, ზღვარს გადასული კახპების, დედათმავლებისა და მამათმავლების შეკრებას და მათ პრეტენზიებს ვისმენ: ჩვენ თავისუფლებისათვის ვიბრძვითო. რომელი თავისუფლებისთვის იბრძვიან ან ვინ ზღუდავს მათ თავისუფლებას? გაიძახიან: დაგვისახელეთ ერთი ქვეყანა, სადაც ნარკოტიკი თავისუფლად არ იყიდებაო. მათ დამისახელონ ისეთი ქვეყანა, რომელსაც ნარკოტიკის გაყიდვაზე კონტროლი არ აქვს დაწესებული. თუ სადმე ასეთი რამ არსებობს, ეს ქვეყანა კი არა ბორდელია. მათი აზრით, ღამის კლუბ „ბასიანის“ დახურვა იგივე ყოფილა, რაც თავის დროზე „იმედის“ დარბევა. როგორ შეიძლება ნარკოტიკების თავისუფლად გაყიდვა დავუშვათ?! საქართველოში მორფინისტები ისედაც მრავლადაა, ისინი ოჯახებს ანგრევენ. ჩემს თვალწინ უვაჟკაცესი ბიჭების ოჯახები დაინგრა იმის გამო, რომ შვილებს ვერ მიხედეს. ოჯახების დანგრევას რომ თავი დავანებოთ, ეს უკვე ქვეყნის დანგრევაა. ერთს გეტყვით: 26 მაისს მარტივ რამეს მოვითხოვდით: მიხეილ სააკაშვილს ამ ადგილას დამოუკიდებლობის დღესასწაული არ ჩაეტარებინა, რადგან იგი, ამის ღირსი არ იყო. ამის გამო ამოგვწყვიტეს, პოლიციაში ცემატყეპით წაგვიყვანეს, უვაჟკაცეს ქართველებს სისხლი გვანთხევიეს, პოლიციის მთელი შენობა სისხლით იყო შეღებილი. ახლა, თურმე, დემოკრატიაა და „თეთრი ხმაურის მოძრაობის“ ორგანიზატორობით ამ ნაძირლებს აყალმაყალის, ყველაფერის უფლებას აძლევენ. ჯერ ერთი, არცერთი ღამის კლუბი არ უნდა გაიხსნას, რადგან ეს არის ბუდე, სადაც ქართველი ახალგაზრდები ირყვნებიან. ღამის კლუბებში გარყვნილების, ბოდიში მომითხოვია და ბოზობის მეტი არაფერი ხდება.

**— ამ „თავისუფლების“ შედეგად, დღეს, 9 აპრილის მემორიალზე „თანასწორობის მოძრაობის“ წევრი ცეკვავდა. საით მიდის ქვეყანა?**

— ერთი რამ უნდა გავაცნობიეროთ — ასეთი დემოკრატია საქართველოს ღუპავს. ეს არ არის დემოკრატია, არამედ თავზე ხელაღებული, ჭკუაგადასული ახალგაზრდების ხმაურია, რასაც „თეთრი ხმაური“ ჰქვია. როგორც უნდათ ისე იხმაურონ, ოღონდ, აქედან, ქართველ საზოგადოებას მოშორდნენ. შვილიშვილები მეზრდება, მათი შემყურე როგორ გაიზრდება ნორმალური მომავალი თაობა? აქციაზე გამოსულ ბავშვებს არ ესმით რას აკეთებენ, მუსიკებს რთავენ, ცეკვავენ, ვითომ ძალადობას ცეკვით აპროტესტებენ. მათზე ნაკლები არიან ქუჩის მუსიკოსები?! სჯობს წინ ქუდი დაიდონ და ფული შეაგროვონ. ბექა წიქარიშვილი ქუჩის მაწანწალას რომ ჰგავს, ავადმყოფია, „სოროსის“ ფულით იკვებება. „სოროსის“ უმთავრესი მიზანი რა არის? — საქართველოს მოსპობა, განადგურება. დღეს, „სოროსი“, ყველა ქვეყნიდან — რუსეთიდან, საფრანგეთიდან, ინგლისიდან, ამერიკიდან, თავად მისი სამშობლოდანაც კი გაძევებულია. მხოლოდ საქართველო არის სოროსელების ბუდე, რომელიც ჩვენს ქვეყანას ღუპავს. კი დემოკრატია არის ის, რომ ადამიანს გამოხატვის შესაძლებლობა მისცე, მაგრამ რას გამოხატავს — ეს უნდა გაკონტროლდეს. ტელევიზიები, განსაკუთრებით, „ტვ-პირველი“ მთელი დღის მანძილზე ამ ავადმყოფების მსჯელობას უჩვენებდნენ. თავად „გონიერი“ ქალბატონი ინგა გრიგოლია აჩვენებდა საზოგადოებას ამ ავადმყოფობას. ამ დროს არცერთი ღონისძიება, სამეცნიერო აღმოჩენები, რაც ერს წაადგება, არ შუქდება. „მეცნიერთა აკადემიაში“ ნარკომანიის წინააღმდეგ გავილაშქრეთ და ტელევიზიები მხოლოდ მცირე სიუჟეტებით შემოიფარგლნენ. იცით, ეს რატომ ხდება? — ამ თემაზე, პარლამენტში შესულია კანონი და იქ, მას მომხრეები ჰყავს. როგორც კი პარლამენტი ამ კანონს მიიღებს, ჩათვალეთ, რომ ქართველების ჯანსაღი ნაწილი თავისი შვილების, შვილიშვილების დასაცავად გამოვა და ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს — ეს პიდარასტები თუ ქართველი ვაჟკაცები? 80 წლის ვარ, მაგრამ მაგისთანებს ათასს გავუსწორდები, მაგათი დედა…

**— დასაწყისში აღნიშნეთ, ადრე, ახალგაზრდობა ქუჩაში სამშობლოს დასაცავად გამოვდიოდითო. მართლაც, იყო დრო, როცა დედა ენის დასაცავად და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ვიბრძოდით, ახლა კი, ახალგაზრდობა ქუჩაში გამოდის მოთხოვნით — ნარკოტიკების გაკეთების უფლება მოგვეცითო.**

— აი, ამაშია მთელი უბედურება, ვინც ამას აკეთებს ცნობიერება გადაბრუნებული აქვს. ეს ხომ შემთხვევით არ მოხდა?! რვა-ცხრა წელიწადში ის დაგვმართეს, რაც რუსეთს 170 წლის მანძილზე არ გაუკეთებია. ახალგაზრდები გადააგვარეს, ახლა უკვირთ, ბავშვები ვერ აზროვნებენო. ამ განათლების სისტემით როგორ უნდა იაზროვნონ ან რა გადაცემებს აჩვენებენ ტელევიზიებში. ეს ნაძირლები ღამის კლუბებში მილიარდებს შოულობენ. ვიღაც გამოდის და ამ სპეცოპერაციას სპექტაკლს უწოდებს. ჭკუით იყვნენ, თორემ, მარტო კლუბები კი არა, ოჯახებიც დაეწვებათ. სწორედ ეს არის სავალალო რასაც თქვენ მეკითხებით — ადრე თუკი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ვიბრძოდით ახლა დედათმავლები და მამათმავლები გვეუბნებიან ერთმანეთთან მიგვიშვით და ნარკოტიკებიც უნდა გავიკეთოთო. ხვდებით, რა გვჭირს?!

**— ბატონო ელიზბარ, აქციაზე ლაშა ბუღაძე გამოვიდა და განაცხადა: ახლა, ხდება ბრძოლა პროგრესსა და განუვითარებლობას შორისო. ეს რას ნიშნავს?**

— ეს ბუღაძეები, ვითომ მწერლები არიან, რომელთაც საკუთარი დედის ბაყვებით გამთბარი უნიტაზი აღაგზნებთ. ვინ არის რეალურად ბუღაძე, მამამისი ვინ იყო? — კედლის მღებავი, რომელსაც ხან ერთი ხელისუფლების საჯდომისაკენ ჰქონდა ცხვირი მიშვერილი და ხან — მეორის. ბოლოს, სამხატვრო აკადემიის რექტორობა იმით დაამთავრა, რომ ბავშვები შეკრიბა და ერთმანეთს აფურთხებინა, ეს თავისუფლებააო. აი ამ ოჯახშია „აღზრდილი“ ლაშა ბუღაძე, რომელმაც თამარ მეფეს შეურაცხყოფა მიაყენა. სირცხვილი ისიც არის, რომ ლიტერატურული პრემია „საბათი“, რომელსაც ხაზარაძე ვითომ ლიტერატურული წინსვლისთვის გასცემს, ასეთი ხალხი ჯილდოვდება. სწორედ ეს არის გარყვნა. ხაზარაძეც ფულისაგან გარყვნილი, გათახსირებული კაცია. ბანკირებიც გაირყვნენ, მათ მთელი საქართველო იყიდეს და საჯდომქვეშ ამოიდეს, ხელისუფლებამ მათაც უნდა მიხედოს. დავუბრუნდეთ, მორფინისტებს. ამას წინათ ერთი მათგანი გამოვიდადა განგვიცხადა: ყველა მეზიზღებითო. ერთი მე მკითხოს: როგორ მიყვარს. ესენი ნეხვში მოძრავი ჭიაღუები არიან, ლამის ხელისუფლებაში უნდათ მოსვლა. ეს ყველაფერი იქედან დაიწყო, რომ არსებობდა კაპიტაცია, დათმობა, არ დადგა სამართალი, დასაჭერი კაცი ველარ დავიჭირეთ. ვინც დასაჭერია უნდა დაიჭირო. ის თმაგაბურძგნული, წვერებმოშვებული წიქარიშვილი რომ იგინება და ხალხს სახელმწიფო დამხობისაკენ მოუწოდებს, არ უნდა დაიჭირონ?!

**— ბოლოს გკითხავთ, რას ფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაზე?**

— ივანიშვილმა ყრილობაზე სიტყვით გამოსვლა ძალიან საინტერესოდ დაასრულა: მოვედი იმიტომ, რომ ჩვენი ძმები — აფხაზები და ოსები გავერთიანდეთო. ბიზინა ივანიშვილი ამ გაერთიანებას თუ მოახერხებს, იგი ქართველი ხალხის ცნობიერებაში, სამუდამოდ, უკვდავ ძეგლს დაიდგამს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებით ქვეყანაში სტაბილურობის შეგრძნება უნდა დაბრუნდეს!

**გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე:**

**— ბატონო მამუკა, „ქართული ოცნების“ მეხუთე ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარედ ბიძინა ივანიშვილი აირჩიეს. როგორ აფასებთ ამ ნაბიჯს?**

— ხალხს შემდეგი გარემოებები აინტერესებდა: პირველი — რატომ ბრუნდება ივანიშვილი პოლიტიკაში, მეორე — რას აპირებს, ანუ, იგულისხმება, რა შეიცვლება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ბევრი რამ გაკეთდა, საზოგადოება ამას წარმატებად ვერ აღიქვამს იმიტომ, რომ დიდი უმრავლესობის სოციალური მდგომარეობა არ გამოსწორებულა, არ შეცვლილა. რასაკვირველია, ადამიანების სერიოზულ კატეგორიას სიკეთე დაეტყო იმ თვალსაზრისით, რომ აღარ ხდება მათი შევიწროება, სამოქალაქო და ადამიანური ღირსებების ხელყოფა და გარკვეული პროცენტისთვის ეკონომიკური მდგომარეობაც გამოსწორდა. თუმცა, ხალხის ძირითად ნაწილს, ეს სიკეთეები მაინცდამაინც არ უგრძვნია. მოსახლეობა ითხოვს შემდეგ — შეიქმნას ქვეყნის მყარი ეკონომიკური და სოციალური განვითარების სისტემა. თორემ, ის რაც აქამდე გაკეთდა კარგია, მაგრამ ამაში სისტემა ნაკლებად იგრძნობა.

ეკონომიკური განვითარების კუთხით სერიოზული ცვლილებები რომ მოხდეს, ამისთვის მყარი სისტემის შექმნაა საჭირო. მაგალითად, ბიძინა ივანიშვილმა რომ გამოაცხადოს: ხვალიდან ინდუსტრიის განვითარება იწყება, სხვადასხვა რეგიონში, ინდუსტრიის განვითარების თვალსაზრისით, ხუთი ქარხნის მშენებლობა დაიწყებაო, აი, ეს მართლა გააჩენს იმედს. ასე ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის განვითარების კუთხით მყარ სისტემას დაედება საფუძველი. ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ხომ ის არის, რომ ისეთი სოციალური გარემო შევქმნათ, როდესაც ხალხი ქვეყნიდან გასვლაზე აღარ იფიქრებს. მეტსაც გეტყვით, ამოცანა, ალბათ, ისიც უნდა იყოს, რომ ჩვენი მოსახლეობის ის ნაწილი რომელიც ევროპაში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებშია წასული, ნაწილი მაინც სამშობლოში დაბრუნდეს. მათი დაბრუნების წინაპირობა კი სწორედ ამ სისტემის შექმნა იქნება. როცა ადამიანი დაინახავს, რომ ქარხანა მუშაობს სადაც ხელფასი საშუალოდ 1500 ლარია, ის თავის ქვეყანაში იცხოვრებს, დიდი ნაწილი დაბრუნდება, ეს უმნიშვნელოვანესია. საბოლოო ჯამში რეზიუმეს სახით ვიტყვი: ბუნებრივია, ივანიშვილის გამოსვლაში ბევრი ძალიან მნიშვნელოვანი რამ ითქვა, საინტერესო გზავნილები იყო, მაგრამ ხალხს დღეს, რეალური ქმედება სჭირდება. სოციალურ-ეკონომიკური თემა იყო მთავარი საკითხი რაზეც მან ყურადღება გაამახვილა. მეორე საკითხი იყო პარტიაში, სახელისუფლებო წრეებში განხეთქილება, ნაპრალი, რომელიც ნელ-ნელა იზრდებოდა. მაგრამ ნაპრალი მარტო სახელისუფლებო წრეებში როდი იყო მზარდი. თავად ივანიშვილმაც ახსენა იმის საშიშროება, რომ ნაპრალი შეიძლებოდა ხელისუფლებასა და ხალხს შორის გაზრდილიყო, ეს მან დელიკატურად თქვა. ვთვლი, რომ ეს ნაპრალი ისედაც საკმაოდ სერიოზულად არის გაზრდილი. კომუნიკაციის სისტემა ხალხსა და ხელისუფლებას შორის ძალიან შემცირებულია, თუ საერთოდ დაკარგული არ არის. საზოგადოება ზუსტად ამ კომუნიკაციის სისტემის აღდგენას ითხოვს. პრემიერ-მინისტრის აპარატს უამრავი თანამშრომელი ჰყავს, მაგრამ მათი დიდი ნაწილი ვერ აცნობიერებს სად და რისთვის არიან, ან კონკრეტული მისამართობრივი დავალება არ აქვთ, რაც ძალიან ცუდია. სხვა სამინისტროებზე აღარაფერს ვამბობ. რიგ სამინისტროებში, კომუნიკაციის დამყარების თვალსაზრისით, უბრალოდ, ვერ შეაღწევ, ან ყურმილის მეორე მხარეს, აბსოლუტურად, უვიცი ადამიანები სხედან, ან ისეთ პასუხს გაგცემენ მეორედ დარეკვა აღარ მოგინდება. გამოსვლაში ამაზე იყო საუბარი.

**— ივანიშვილმა მიღწევებზე ისაუბრა. აღნიშნა რომ დაცულია ბიზნესი, შევძელით რუსეთთან ურთიერთობის დეესკალაცია.**

— ბიზნესთან დაკავშირებით საქმე მთლად ასე არ არის. ბიზნესის დაცვა არ ნიშნავს, რომ ვიღაცამ საწარმო გახსნა და მას თავზე სხვადასხვა ჩინოვნიკები არ ასხედან და ქრთამს არ თხოვენ. ამაში არ არის საქმე. არც იმაშია საქმე, რომ ბიზნესის წამოწყება საქართველოში იოლია. ეს მართლაც ასეა. მეორეს გეტყვით: არსებობს უზარმაზარი ბიზნეს-პროექტები, რომელსაც ჩინოვნიკები შეგნებულად ამუხრუჭებენ. ზუსტად ეს არის იმის ერთ-ერთი ნიშანი, რომ ქვეყანაში ბიზნესის განვითარება ფერხდება, განსაკუთრებით, დიდ პროექტებზე, ეს იქნება ენერგეტიკული თუ ინდუსტრიის. როდესაც ივანიშვილი ბიზნესისთვის ხელის არშეშლაზე საუბრობს, სხვა რამეს გულისხმობს. დიახ, ბიზნესს, ნაწილობრივ, ხელი არ ეშლება. გარკვეული შეზღუდვები, რაც მიშას დროს იყო, არ არის და ეს ძალიან კარგია. ხალხი ხომ ესეა მოწყობილი, ყოველთვის უკეთესი უნდა. საზოგადოებას ასეთი ფსიქოლოგია აქვს — აუცილებლად დიდი ერების წარმატებებს უნდა ეტოლებოდეს. ევროპაზე სწორება ყოველთვის იყო. ბოლო 6–7 საუკუნეა ასეა და ეს ძალიან კარგი თვისებაა. სწორება უნდა იყოს საუკეთესოზე, მაგრამ ნურავის ჰგონია, რომ საზოგადოება საუკეთესოს დღესვე ითხოვს. საზოგადოების ძირითადი ნაწილი ითხოვს საუკეთესოს, მაგრამ დღესვე კი არა, არამედ ზეგ. დღეს ითხოვს: დამანახეთ განვითარების პროცესი და როგორი სისტემა შექმენითო. ეს ლეგიტიმურია. რაც შეეხება რუსეთთან ესკალაციის თემას, საქართველო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სტაბილური ქვეყანა გახდა, ეს ბიზნესის განვითარებასაც ეტყობა. რაც არ უნდა ილაპარაკონ ოპოზიციის წარმომადგენლებმა, ეს ასე. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ სტაბილურობას დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ოკუპირებული ტერიტორიები. ამ მიმართულებით სერიოზული გარღვევა ვერ მოვახერხეთ. არ ვამბობ, რომ ეს 2013 წელს უნდა მომხდარიყო. სიტუაციის შეცვლას დიდი დრო სჭირდება, მაგრამ აქაც პროცესი უნდა დავინახოთ.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, რა მემკვიდრეობაც დაგვიტოვეს იქედან გამოვდივართ. არსებობს ორი პლატფორმა — ჟენევის ფორმატი და აბაშიძე-კარასინის შეხვედრები. შეიძლება, პოლიტიკური თვალსაზრისით, განსაკუთრებული გარღვევა არ მომხდარა, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ თუ ჟენევის მოლაპარაკებებში რუსეთი ცდილობს შუამავალი იყოს, კარასინი-აბაშიძის შემთხვევაში — რუსეთი მხარეა. ამ ხელისუფლების ხელში ახალი ფორმატი შეიქმნა, რამაც გამოიწვია გარკვეული გარღვევა ეკონომიკური ურთიერთობების გაჯანსაღების თვალსაზრისით.

**— როგორ ფიქრობთ, რა ეტაპი იწყება ივანიშვილის მოსვლით?**

— ჯერჯერობით, რთული სათქმელია. ერთადერთი მთავარი რაც არის, დავინახე, რომ ივანიშვილმა ისევ ღიად აიღო პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. თუ ამან იმუშავა მაშინ მას მართლა შეუძლია მთლიანად გამოიყენოს ის რესურსი, რომელიც არის პარტიაში, ხელისუფლებაში და საზოგადოებაში.

**— თქვენი აზრით, შეძლებს კვლავაც ხალხის ნდობის მოპოვებას და საზოგადოების კონსოლიდაციას?**

— მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ხალხმა დაინახა, რომ სიტყვების უკან სერიოზული სისტემური ნაბიჯები დგას და არა ფრაგმენტული.

**— საკადრო ცვლილებებს უნდა ველოდოთ?**

— საკადრო ცვლილებები აუცილებელია. ადამიანების ერთი ნაწილი ხელისუფლებაში იმყოფება იმიტომ, რომ ხელისუფლების მაღალჩინოსნის მეგობარია, ძმაკაცია, ისე არაფერს წარმოადგენს. ბალასტი როგორც აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ისე საკანონმდებლოში იმაზე უფრო მეტია, ვიდრე საჭიროა.

**— განახლებულ პოლიტ.საბჭოზე რას იტყვით?**

— არ მომეწონა ის, რომ ვეტერანების ერთი ნაწილი პოლიტ.საბჭოში აღარ არის. ეს არ მომეწონა იმიტომ, რომ ამ ხალხმა 2012 წელს მართლა სერიოზული ბრძოლები გადაიტანა. მაგრამ ის, რომ პოლიტ.საბჭოში ახალგაზრდები არიან, ეს მათი შანსია. ამ შანსს გამოყენება უნდა. მინახავს ადამიანები, რომლებიც ივანიშვილის გვერდზე იყვნენ, პარტიის სათავეში იდგნენ და მეორე დღეს არსად არ ყოფილან, რადგან შანსი ვერ გამოიყენეს. შანსის გამოყენება საკუთარ კეთილდღეობაზე კი არა ქვეყანაზე ზრუნვას ნიშნავს.

**— ერთ-ერთი ამოცანა უნდა იყოს თუ არა იმ თანამებრძოლების დაბრუნება, რომლებმაც ივანიშვილთან ერთად ქვეყანას 2012 წელს ეს გამარჯვება მოუტანეს?**

— ეს ლაპარაკი ჩემგან არ გამოვა იმიტომ, რომ ერთ-ერთი მათგანი მეც ვიყავი და გამოვა, რომ ჩემს თავზე ვსაუბრობ. მაგრამ იმ ხალხში ვინც მაშინ ახალ გარემოს ქმნიდა, ბევრი ღირსეულია, რომელთაგან ზოგი იმედგაცრუების გამო ჩამოშორდა, ზოგიც თვითონ მოიშორეს. ამ ხალხის მიმართ ასე მოქცევა არ შეიძლება, დიდი ნაწილი, პარტიულ საქმიანობაში, დასაბრუნებელია. ახლა, პარტიის ყრილობას რომ ვუყურებდი 50%-ს საერთოდ ვერ ვცნობდი ვინ იყვნენ, ეს ძალიან ცუდია. არ ვიცი ივანიშვილი ამ ნაბიჯს გადადგამს თუ არა, მაგრამ ხალხის ნაწილი უკან უნდა დაბრუნდეს. ახალგაზრდობას ერთი კარგი თვისება აქვს — ეს მისი ენერგია, დისტანცირებაა კომუნისტური წარსულისგან რომელშიც ვცხოვრობდით. მაგრამ ცუდი თვისებაც აქვთ — გამოცდილება არ გააჩნიათ. ახალგაზრდების დიდი ნაწილი, უბრალოდ, ხალხს არ იცნობს. ბიძინა ივანიშვილი ბევრ ჩვენთაგანს არ იცნობდა, მაგრამ ყველაფერს აკეთებდა, რომ მაქსიმალურად ბევრი ადამიანი გაეცნო. პირადად მთხოვდა კონკრეტულ ადამიანებზე ბიოგრაფიული ცნობები მიმეწოდებინა და ქვეყანაში მათი გავლენები შემეფასებინა. აქ, პოლიტიკაში ჩართულ ადამიანებზე არ არის ლაპარაკი. ახალგაზრდების დიდ უმრავლესობას ამის სურვილს ვერ ვატყობ, საკუთარ წრეში არიან ჩაკეტილნი, თავიანთი გამოცდილებით კმაყოფილდებიან, არ უნდათ ვინმემ შეამჩნიოს, რომ რაღაც არ იციან და კონსულტაციებს არ გადიან. შედეგად ვიღებთ ჩაკეტილ წრეს, ისინი საქმის მოგვარებისთვის მზად არ არიან.

თამარ შველიძე
555 23 28 24

# საკაიფო ქვეყანა

ეთერ ლაცაბაძე

ამბობენ, მალე ლეგალიზებული პლანი გვექნებაო, მაგრამ, ამ ჩვენს პროგრესულ ახალგაზრდებს რომ თეთრი ხმაური ქვიათ? თეთრი ხმაური და არა მწვანე სიმშვიდე. რას ეყოფა მაგათ ნარკოტიკით გაჯერებულ ორგანიზმს პლანის კაიფი?

არასოდეს მინახავს ქართული სპეცრაზმი ასე მობილიზებული მოსახლეობის დაცვაზე, არასოდეს მინახავს ორი დაპირისპირებული ძალის ასე უსისხლოდ დაშლა, არასოდეს მინახავს შსს-ს მინისტრი, რომელიც ორივე მხარესთან მივიდა სალაპარაკოდ და ორივე მხარემ მოუსმინა.

მანამდე კი, მანამდე ადამიანები იღუპებოდნენ, ზოგი გოგო, ზოგი ბიჭი, ზოგი პატარა და ზოგი დიდი...

ადამიანები და პოლიტიკოსები ერთხმად ითხოვდნენ – გვაჩვენეთ რა ხდება ბასიანში, ნუ უყურებთ ჩვენი შვილების სიკვდილს შორიდან, შედით ბასიანში და გამოიტანეთ ნარკოტიკი, თორემ, ჩვენ შევალთ და ჯერ რუმბივით გავაგორებთ იქაურ ფალავნებს და მერე თავებს დავკვეთთო.

ხოდა, ადგა შსს და შევიდა ბასიანში.

ტიტუ, შსს – ბასიანში ისე მოულოდნელად შევიდა და თან იარაღიც ეკეთაო...

მოგიკვდით, არ გაგაფრთხილათ, მოვდივარ და წამალი გადამალეთო? არ შემოყარეს ფერადი ბუშტები და არ გაუშვეს ფეიერვეკი, ისე მოვიდნენ?

რუსთავი 2 ის ჟურნალისტი ყოფილა მაგ დროს კლუბში, ხოდა, პირდაპირ ეთერში აღწერა, როგორ შევიდა შსს და როგორ ითხოვა კლუბის დაცლა სტუმრებისგან – მაგრამ, არ ცლიდნენ კლუბს, არ ჰქონდათ ბოლო ყლუპი ვისკი დალეული, ვერ მოასწრეს კოქტეილის მოწრუპვა...

აქეთ მაღალმა საზოგადოებამ დაიწყო აღშფოთება – საქართველოს კულტურულ ცენტრს, ბასიანს კლავენ, საქართველოში ტურისტები ბასიანის სანახავად ჩამოდიოდნენ და ახლა რა ვაჩვენოთო.

იქეთ, ბასიანელებმა დადეს პირველი ვერსია – საცეკვაოდ დავდივართ ჩვენ კლუბში და ცეკვას გვიშლიანო – მართალია, ფეხზე ვერ დგებოდნენ – მაგრამ დაწოლილი ცეკვაც ხომ არსებობს, კაცო? არსებობს, ალბათ, ტყუილს ხომ არ გვაკადრებდნენ

მერე, ცოტა რომ შეფხიზლდნენ, გვითხრეს – არაო, მარტო საცეკვაოდ როგორ ვივლით ქვეყნის პროგრესული ნაწილი, ჩვენ კლუბებში ჰაერის დაბინძურებაზე, პოლიტიკაზე, სოციალურ თემებზე სასაუბროდ ვიკრიბებითო.

კლუბში ვინც არის, ერთხელ მაინც, ნამყოფი, ეცოდინება, რომ წარმოუდგენელია იქ რამეზე საუბარი მოახერხო, წარმოუდგენელია ხმა მიაწვდინო ადამიანებს და მათი ნათქვამი გაიგო – ხოდა, მგონი, ეგენი კლუბში არ იყვნენ, შეეშალათ მაგათ რაღაც.

ნუ, ახლა 9 აპრილის მემორიალზე რომ იცეკვეს, სამშობლოს რომ სულ ლანძღვა-გინებით მოიხსენიებდნენ და გაურკვეველ თავისუფლებას ეძახდნენ – სად გაიგეს თავისუფლება სამშობლოს გარეშე, რად უნდათ თავისუფლება სამშობლოს გარეშე. რა სამშობლო და რისი სამშობლო – ამათ ეს ქვეყანა საკაიფოდ უნდათ მხოლოდ.

რამდენ ხანს გაგრძელდება, ნეტავი, ნარკოტიკით მოტანილი თავისუფლება.

ნახევარი საქართველოღაა დარჩენილი, ამ ჩვენს ნახევარსაც არაბი და თურქი, სირიელი და ჩინელი გვართმევს – რა წამლით თავისუფლება, რის თეთრი ხმაური და მწვანე სიმშვიდე...

კარგად ჩანდა შსს-ს დადებულ ვიდეოებში, როგორ უთვლიდნენ ასლარიანებს ნარკორეალიზატორებს (ბარიგა არ უნდა დავუძახოთ, ხიხი სიტყვაა ბარიგა) – ვუყურებდი და ვფიქრობდი – რამდენ მშიერ ბავშვს დააპურებდნენ, რამდენ ობოლს გაახარებდნენ, რამდენ პენსიონერს გადაარჩენდნენ მცირე ხნით შიმშილისგან, მაგრამ თავისუფლების ფასიც ეს არის, ალბათ...

დაგვიანონსეს 17 ში – ლგბტ-ების გვერდით დავდგებითო – და აქამდე 11-ში, 12-ში და 13-ში ვის გვერდით იდგნენ, რო?

დადგნენ, უფრო გმირები გამოჩნდებიან, მეტად დიდები გამოჩნდებიან, მეტი ფასი დაედება მაგათ პროგრესულ აზროვნებას.

ასე იქცევა რუსი, რუსი კრძალავს ნარკოტიკს და ძირს რუსიო!

დებენ ჩვენი ემიგრანტი ქართველები, ევროპის ქალაქებიდან, პოლიციის მიერ, კლუბებში განხორციელებული რეიდების ფოტოებს – არ დაქცეულა ევროპა, არ გამოსულა ევროპის პროგრესული ნაწილი ქუჩაში – არა აქვთ, ეტყობა, იმათ ქუჩები.

მიუხტდნენ ქართველთა ნაწილი უწუ-ბუწუ პროგრესუკებს, მიუხტდნენ და დაშლა მოთხოვეს – გადაუვლიდნენ, ბევრნი იყვნენ, ლუკმად არ ეყოფოდათ.

არ დაანება პოლიციამ, ბოლომდე იბრძოდა, ფეხს არ იცვლიდა პოლიცია იმ დღეს.

მოიბოდიშა შსს-ს მინისტრმა, ვის მოუბოდიშა, რა მოიბოდიშა – მე კი ვერ გავიგე – მაგრამ თეთრმა ხმაურმა გაიგო და დაიშალა.

გაიგებდნენ, აბა, რა იქნებოდა, მომდგარი იყვნენ ქუჩას ხელკეტიანი ბიჭები, ცოტაც და ვეღარ შეაკავებდათ პოლიცია.

გაიგებდნენ, აბა, რას იზამდნენ, ორშაბათი მოდიოდა და ხალხს მაგათი ტანცებისთვის სადღა ეცლებოდათ.

მდგარიყვნენ, რომელი გმირები ეგ გყავდათ, რომ იქ კვირაობით გაეძლოთ მზისა და წვიმისათვის, ქარისა და მტვერისათვის, მოშივდებოდათ, მოწყურდებოდათ, დოზა მოუჭერდათ თავისუფლებაზე და მიაშურებდნენ თბილ კერებს.

ამასობაში, გახარიამ, ნარკოლიბერალიზაციაზე ვიფიქრებო.

ეჰ, ამ პროგრესულ თაობას განა თავისუფლება არ სურდა? განა თავისუფლებას არ ართმევდნენ? – რა ნარკოტიკი, რის ლიბერალიზაცია?

დღეს საავადმყოფოს ეზოში ჩამოვჯექი, გვერდით სკამთან პრაქტიკანტები იყვნენ შეკრებილნი – 15 მდე ახლაგაზრდა იქნებოდა.

- ეს რა სამარცხვინო აქცია იყო, მაგათ გვერდით დადგომაც კი ტეხავს.

- რა ნარკოტიკი, ნეტავი ოდესმე უფიქრიათ, მათმა შვილმა რომ წამალი გაიკეთოს, რას იგრძნობენ?

- ცეკვის წინააღმდეგი ვინაა, მაგრამ მემორიალზე რომ ცეკვავ...

- არ არის ის მემორიალი – წარწერაა, რომ მემორიალი უნდა დაიდგას იქ...

- მერე რა? მე რომ მოვკვდე და მარმარილოს დაფა ვერ დამადგან გულზე, ამიტომ უნდა მოხვიდე და ჩემს საფლავზე იცეკვო?

- ხო, ეგ მართალია...

- ნარკოტიკის ლეგიტიმაცია თუ მოხდება, ამ ქვეყანაში შვილები როგორ ვიყოლიო და გავზარდო, აღარ ვიცი. სადა აქვს ქართველ კაცს მაგისი თმენის უნარი, რომ ასე დაყრილ ნარკოტიკს აუქციოს გვერდი.

- წარმოდგენაც კი მიჭირს, ჩემმა შვილმა წამალი რომ გაიკეთოს, რა მომივა...

ეძებდით იმ დღეს მაგ ბრბოში პროგრესულ ახალგაზრდებს, ჭრელი ტანისამოსი რაკი აცვიათ და საყურე რაკი უკეთიათ, იმიტომ არ მოგწონთო – გვამუნათებდით.

ძალიანაც მომწონს ჭრელ ტანისამოსიანი და საყურებიანი ახალგაზრდები – ისინი აქ არიან, აქ, ჩვენს გვერდით არიან, პროგრესულად მოაზროვნეები, განათლებულები, ზრდილები და ლამაზები და არა იქ, სადაც მემორიალზე სტრიპტიზს ცეკვავენ და სამშობლოს დედ-მამის სულს უტრიალებენ.

არ დგანან 9 აპრილის მემორიალზე – ნუ უყურებთ მხოლოდ პარლამენტის კიბეებს...

555 46 08 04

# „თეთრი სიკვდილი“

## უპატრონო ძაღლებს ხოცავენო, – აქციებს მართავენ და გრგვინავენ „ლომები“, ახალგაზრდებს რომ ხოცავენ, აღარც კი კნავიან...

ქართული მედიის, „გირჩის“, „თეთრი ხმაურის მოძრაობისა“ და სხვა არასამთავრობო თუ პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ აქტიურად წარმოებული ნარკოპროპაგანდის შედეგად, საზოგადოებაში შეიქმნა მცდარი წარმოდგენა, თითქოს ევროპაში დეკრიმინალიზებულია ნარკოტიკები და შესაბამისად, შემცირებულია ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი და აქედან გამომდინარე, ამ მიზეზით გარდაცვლილთა რიცხვიც.

ეს სიცრუეა!

ნარკოტიკების ფლობა დეკრიმინალიზებულია მხოლოდ პორტუგალიასა და ჩეხეთში. შედეგი – ნარკოტიკებსა და ნარკოდამოკიდებულებაზე ევროპული მონიტორინგის ცენტრის (EMCDDA) მონაცემების თანახმად, დეკრიმინალიზაციის შემდეგ, მდგომარეობა ორივეგან მკაფიოდ გაუარესდა. ორივე ქვეყანაში უდიდესი ინვესტიციები ჩაიდო სარეაბილიტაციო ქსელების ჩამოყალიბებაში; ზიანის შემცირების ღონისძიებების დანერგვაში; ანტინარკოტიკული საგანმანათლებლო კამპანიის წარმოებაში და ნარკოტიკებით ვაჭრობის საწინააღმდეგო საპოლიციო კონტროლის გაძლიერებაში, მაგრამ მდგომარეობა გ ა უ ა რ ე ს დ ა!



საქართველო, ჯერჯერობით მაინც, ვერც ჩეხეთს გაუტოლდება და ვერც პორტუგალიას და რისი იმედი აქვს ვინმეს როდესაც დეკრიმინალიზაციაზე თუნდაც სიტყვას ასველებს?

ამ თემაზე დეტალური ანგარიში წარმოადგინა პარლამენტში ექიმმა ინფექციონისტმა (ადიუნქტპროფესორი – ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლა, ატლანტა, აშშ) გიორგი კანდელაკმა და ლამის გაგუდეს, არასწორ ფაქტებს ასახელებსო.

რით ვერ გაძღა სხვისი შვილების ცხედრების ხარჯზე ვიღაც(ებ)ის ამოუყორავი მუცელი!...

სახელმწიფო გვაქვს თუ ნარკოვოლიერი!..

სიგარეტის მოწევა აკრძალეს, ნარკოტიკი – ინებეთ!

უპატრონო ძაღლებს ხოცავენო, – აქციებს მართავენ და გრგვინავენ „ლომები“, ახალგაზრდებს რომ ხოცავენ, აღარც-კი კნავიან...

სხვა რომ ვეღარაფერი მოიფიქრეს, სოციალური ქსელით გავრცელდა ინფორმაცია, რომ სახელგატეხილი და ყოველმხრივ თავმოჭრილი აუღებელი კლუბ „ბასიანის“ მოწილე, მთელი თავისი ნარკო-ბარიგობით, ბერა ივანიშვილისა ყოფილა. რა თქმა უნდა, ინფორმაციამ ადრესატამდეც მიაღწია და იმედი მიეცა მრავალ მშობელს, მეუღლეს თუ უბრალოდ, მოქალაქეს, იქნებ ამის გამო მაინც დაინტერესდეს მავანი, რა ხდება კლუბური ნარკოტიკების ირგვლივ, ვინ მფარველობს ასეთი ხელშეუხებელიო?

კი, დააკავეს რამდენიმე პირი, როგორც ნარკოტიკების ინტერნეტით გამყიდველები, ისე შემომტანები, ადგილზე – ნარკობარიგები, მაგრამ ხომ ცხადზე უცხადესია, რომ დაკავებულები „ჩვეულებრივი ბარიგები“ არიან და არა მსხვილი ნარკობოსები?

შსს-მ ბოლო ოთხ თვეში ბრუნვიდან ამოიღო განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა ნარკოტიკი: 8 კგ-მდე ჰეროინი, 1 კგ-ზე მეტი კოკაინი, 318 გრ ახალი ფსიქოტროპული და ფსიქოაქტიური ნივთიერება, მათ შორის ბუპრენორფინის შემცველი 3465 აბი, 1,5 კგ სინტეთიკური ნარკოტიკული საშუალება „მდმა“ და 650 გრამი სხვადასხვა ფსიქოტროპული ნივთიერება. ესენი არ არის „კლუბური ნარკოტიკები“? ან „ცუდი“ რომელია და „კარგი“ რომელი?

„თეთრმა ხმაურმა“, „გირჩმა“ და ა.შ ყველა დედის დაწყევლილმა, შეიძლება, კი, აქოს და ადიდოს ნარკოტიკები, მაგრამ როგორ არ უნდა შერცხვეს ნარკოლოგ ქალს (თუნდაც არ ჰყავდეს შვილი) იმის თქმის („მაესტრო“), რომ უხარისხო ნარკოტიკის გამო იხოცებიან, ნარკოტიკის უხარისხობა არის პრობლემაო.

ნარკოტიკული ნივთიერებების ჩამონათვალი და კლინიკა გვიდევს წინ! სრულებით არ სჭირდება დიდი ნარკოლოგობა იმის დაზუსტებას, რომ გასულ დღეებში გარდაცვლილები „მეფედრონის“ მოქმედების ქვეშ არ იყვნენ.

მიუკერძოებელ ნარკოლოგს ვკითხოთ!

„არ არის ეს მეფედრონი!!! ოპიატია, ეტყობა. თავისი კლინიკით, ძილიანობა და ასეთი სიკვდილი ძილში, უფრო ოპიატებისთვის არის დამახასიათებელი!!! იყიდება, ალბათ, როგორც ამფეტამინი ან მეტამფეტამინი!!! თავს გაუფრთხილდით, ნუ მოიხმართ უცნობ სუბსტანციას!“ – მოუწოდა ცალკეულ პირებს ნარკოლოგმა ზურაბ სიხარულიძემ.

„ნარკომადიდებლების“ ალოგიკური ლოგიკით, დეკრიმინალიზაცია იმიტომ ყოფილა აუცილებელი და სასწრაფო, რომ ხელმისწვდომი ფასის გამო იაფი ნარკოტიკი აღარ მიიღონ. რა საინტერესოა, დეკრიმინალიზაციის შემდეგ შემოსავალსაც მოუმატებს ვინმე? რა თქმა უნდა, – არა, ხელმოკლე ნარკოდამოკიდებული იგივეს შეიძენს, მაგრამ თავისუფლად.

ამათ რომ უსმინო, თურმე სახელმწიფოს შვილების (მომავალი თაობების) დაცვა კი არ უნდა მოვთხოვოთ ნარკოტიკების პროპაგანდა-მოხმარებისგან, არამედ ის, რომ ხარისხიანი ნარკოტიკის მიღების საშუალება თავისუფლად ჰქონდეთ, თითქოს დაბადებიდან ნარკოდამოკიდებულებით იბადება ვინმე...

არანაირი ეფექტური ბრძოლა არ არსებობს ნარკოტიკების წინააღმდეგ არც ცხადში, არც – ლიტერატურასა თუ ფილმების სცენარებშიც კი. ერთადერთი თავდაცვაა – არ დაინტერესდე! „ადინ რაზ ნე პიდარასტ!“ არც ერთ შემთხვევაში არ ამართლებს, თვით ნათქვამს არსშივე, ერთხელ მიმქარავი მეორედაც მიჰქარავს და მეათედაც...

ნარკოდამოკიდებულებს, ნარკობარიგებს და „რაღაც“ ინტერესების გამო მათ მხარდამჭერებს რომ უსმინო, როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო, კურიოზამდე მივა კაცი!

მაშასადამე, სახელმწიფომ უნდა დააწესოს ნარკოტიკების ხარისხის კონტროლი? და ეს რანაირად უნდა წარმოვიდგინოთ, რომ პოლიცია როდესაც დაიჭერს ნარკობარიგას, გასინჯონ მისი „ტავარი“, თუ „კარგი“ აღმოაჩნდება, მხარზე ხელი მოუთათუნონ, პატიოსანი ხარ შენო და გაუშვან, „ცუდი“ თუ აღმოაჩნდება, პანჩურების რტყმევა-რტყმევით წაიყვანონ „ვირის აბანოში“?

სახუმარო თემა არ არის, მაგრამ რასაც ვერ აყალიბებენ, ასე იხატება...

საინტერესო მხოლოდ ერთია – მომძლავრებულ ნარკოგასაღების ფონზე, ვის ვერ ეხება კანონი და კანონიერება, ვინ ან რა არის ასეთი ხელშეუხებელი, ვისი მითითებითა თუ ბრძანებით?

აკრძალულ ადგილებში (ანუ თითქმის ყველგან) სიგარეტის მწეველ უპოვარ ადამიანს ისეთი ოდენობის თანხით ვაჯარიმებთ, ის ფული რომ ავანსად მისცენ მოუწევლობისთვის, აღარ მოსწევს, ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციას კი ორივე ხელით მხარს ვუჭერთ. ამის მერე ნორმალური განვითარების გზაზე მდგარი ქვეყანა გვქვია მაინც?

როგორ გაბედა სპეცნაზმა ოპერაციის ჩატარება ერთბაშად ორ კლუბში „ბასიანსა“ და „გალერიში“ შესვლა, ჩხრეკის ჩატარება და ნარკოტიკული საშუალების 8 გამსაღებლის დაკავებაო, – რუსთაველზე შეკრებისკენ მოუწოდებდნენ ნარკომოტრფიალენი ნარკომომხმარების მხარდამჭერებს შეკრების ადგილიდან. დედებიც თავზე დაახურეს პოლიციელებს ყველა გაბრუებულმა ვისაც არ ენაღვლებოდა, ტრანსგენდერმა თუ რიგითმა ნარკომომხმარებელმა...

„ბასიანი“ მხოლოდ დასაწყისია, ერთ-ერთი იშვიათი ადგილი, სადაც შეგიძლია თავისუფალი იყო ყველანაირად, დაივიწყო ყველა პრობლემა. ასეთი რამ მე არ ვიცი, არსად არ ხდება. ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო საკლუბო სცენა გვაქვს და მართლა წარმატებული ვართ ძლივს რაღაცაში და იმასაც მიწასთან ასწორებენ“, – ყველას აღიარებითი სათქმელი თქვა აღშფოთებულმა მომხმარებელმა ნიკა ქებულაძემ.

ე.წ პოლიტიკოსებიც რომ „წამლის ბარიგების“ დასაცავად ქუჩაში გამოვლენ, ან პირობას იძლევიან, პრეზიდენტობის შემთხვევაში ყველა მსჯავრდებულს შევიწყალებ ვინც ნარკოდანაშაულზე იხდის სასჯელსო, გაუგებარი აღარ უნდა იყოს ბევრი რამ.

ერთხელ თავგასულებს შემდგომში როკვას ვინღა დაუშლით გაბრუებულ ნარკომომხმარებლებს 9 აპრილის მემორიალზე და კვლავ „განფენენ როკვას“, აბა, რას იზამენ... ზოგი ფეხშიშველიც იქნება და სააბაზანო მოსაცმელითაც; კაცები – ქალის წკაპუნებით და ქალები – მამაკაცის „ბათინკებით“... ქალებად დაბადებულები გინებით გამომხატველები, კაცებად დაბადებულები – რბილის „ლასით“ და კურტუმომოქანავენი... სახელმწიფო გადატრიალებასაც დაანონსებენ და ქვეყნის ამოგდებასაც, აბა, რას იზამენ, სადამდეც ეყოფათ „კალიკები“, იქამდე იაქტიურებენ და მამლის პირველ ყივილამდე მოწყდებიან თუ არ შეაშველეს ახალი დოზა...

ხუთი ახალგაზრდა მიყოლებით გარდაიცვალა ჯერ კიდევ დაუდგენელი ნარკოტიკით... ერთი თვის განმავლობაში რვა ადამიანი მოხვდა ნარკოტიკების ძლიერი ინტოქსიკაციით საავადმყოფოებში (შსს-ს ექსპერტიზის შედეგები ჯერ არ გამოუქვეყნებია)...

ბოლოს და ბოლოს, როდესაც ასე წაეწყო ნარკოტიკების მოხმარებით სიკვდილიანობა და განაცხადეს, რომ ნარკორეალიზატორების მიმართ მთავრობის პოლიტიკა მკაცრი იქნებაო, მაგრამ იქნება კი ბოლომდე?

ხალხს არ სჯერა, რადგან დარწმუნებულია რომ „თეთრ სიკვდილს“ ვიღაც თუ რაღაც დიდი ძალა „კრიშავს“!

„უკრიშო“ ნარკორეალიზატორების დაჭერა რას მოიტანს, მათ ადგილზე ორი იმდენი გამოჩნდება...

კაცმა რომ თქვას, პირველი ხელი – „მამულიჩა“ თუ გამოუშვეს, სხვას რატომღა დაიჭერენ, გამოსაშვებად?

ნარკოტიკი კლავს! – სანამ ამას არ გაიაზრებს თვით ნარკომანი, ამ მხრივ საშველი არ იქნება...

**გიორგი ჩხეიძე**

# „გულთა კავშირი“

## ქართველ ებრაელთა კვალდაკვალ

ქართულ-ებრაული ურთიერთობები მრავალ საუკუნეს ითვლის და ეს მეგობრობა დღემდე გრძელდება.

მიმდინარე წლის დასაწყისში ისრაელში ქართველ ებრაელთა საქველმოქმედო საზოგადოება „გულთა კავშირი“ შეიქმნა, რომლის პრეზიდენტად ბიზნესმენი და ქველმოქმედი, ცნობილი არქიტექტორი, ბატონი **აბრაჰამ პაატა იოსები (იოსებაშვილი)** აირჩიეს.

ორგანიზაციაში გაერთიანდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწე ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელები, ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები.

ორგანიზაციამ პირველი ღონისძიება ისრაელში გამართა და მწერალთა კავშირის დელეგაცია ისრაელს ეწვია.

ქართველთა დელეგაციაში შედიოდნენ: მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ბატონი **ბადათერ არაბული**, მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, ბატონი **ნოდარ კობერიძე**.

ჩვენ შევხვდით ორგანიზაცია „გულთა კავშირის“ პრეზიდენტს, ბატონ **აბრაჰამ პაატა იოსებს** (იოსებაშვილი), „გულთა კავშირის“ გამგეობის წევრს, ქალბატონ **იზოლდა მოშიაშვილს** და მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, ბატონ **ბადათერ არაბულს**.

გთავაზობთ საუბრის ჩანაწერს.

სტუმარ-მასპინძლები წმინდა გიორგის ეკლესიასთან

**პაატა იოსებაშვილი:**

თქვენგან განსხვავებით, ჩვენ ორი სამშობლო გვაქვს და ამიტომ კვლავ ვეფერებით მეორე სამშობლოს, ჩვენს საქართველოს, საქართველოს კუთხეებს, ჩვენს მეზობლებს, მეგობრებს და საკუთარი თავის კმაყოფილები ვართ, რომ ეს შეგვიძლია. იმიტომ, რომ ჩვენ აქედან წავიღეთ მადლიერება, სიყვარული, კულტურა და ამ კულტურას, ურთიერთობების კულტურას, ტრადიციას, ისრაელში ვინახავთ და ვავრცელებთ.

იქმნება და კიდევ უნდა შეიქმნას დოკუმენტური ფილმები ჩვენი ურთიერთობების შესახებ, დაიწეროს წიგნები, ნაშრომები, პუბლიკაციები, რათა მომავალმა თაობებმა უკეთ გაიგონ, რას ემყარებოდა ეს სიყვარული და რას ნიშნავს ამ ორ ერს შორის ურთიერთობების უნიკალობა.

ჩემმა შვილებმა, რომლებიც ისრაელში გაიზარდნენ და სულით და ხორცით ებრაელები არიან, იციან, რომ არსებობს კიდევ ერთი სამშობლო — საქართველო და მას პატივი უნდა სცენ. ეს განცდა მე გადავეცი მათ, განცდა, რომელიც თავადაც გამაჩნია საქართველოს მიმართ და კიდევ იმ სიყვარულისთვის, დედაჩემს რომ ჰქონდა ამ მიწის მიმართ. მახსოვს, როგორ თვალცრემლიანი იხსენებდა ისრაელში საქართველოში დარჩენილ მეზობლებს. წუხდა: ნეტავი, როგორ არიან ჩემი ნინო, ჩემი თამარა, გიორგი. წამიყვანე, შვილო, საქართველოში, სანამ მოვკვდებიო. ვერ მოვახერხე. ჩემდა სამწუხაროდ, ისე გარდაიცვალა დედაჩემი, საქართველოში ვერ ჩამოვიყვანე. ბევრს ვნანობ ახლა ამაზე. საქართველოში ყოველი ჩამოსვლისას მახსენდება დედაჩემის ეს ნატვრა და ცრემლები მდის.

**იზოლდა მოშიაშვილი:** საქართველოში ცხოვრებისას, ყოველთვის გვქონდა შთაგონება, რომ იყო სახელმწიფო — ისრაელი, სადაც უნდა დავბრუნებულიყავით ოდესმე, მაგრამ ის მიწაც

შეგვიყვარდა, სადაც ფეხი ავიდგით და ეს სიყვარული თითქოს შერწყმული იყო ერთმანეთთან.

ჩვენი წასვლა წინაპართა მიწაზე, არ ყოფილა ღალატი, ეს იყო რელიგიური მოწოდება, რაც წინაპრებისგან გვქონდა გადმოცემული შინაარსით: ღმერთმა დაგვამადლიანოს ჩვენს ხას-ისრაელს (წმინდა ისრაელს).

საქართველოს მიწაში ჩვენი წინაპრების ძვლები განისვენებს და ამას ჩვენი მხრიდან დავიწყება არ უწერია.

ახლა ამბობენ, რომ ეს ქართულ-ებრაული ურთიერთობები ნელ-ნელა იკარგება და ქრება. ეს არ მოხდება. მომავალი თაობები არასდროს დაკარგავენ პატივისცემას საქართველოსადმი.

**პაატა იოსებაშვილი:** მერვე წელიწადია, ქუთაისში „გვირილობის დღესასწაულზე“ ჩამოვდივარ ისრაელიდან.

ქუთაისი და ხაიფა დამეგობრებული ქალაქებია.

წლების განმავლობაში ვიწვევდი და ვიწვევ საქართველოს წარმოამადგენლებს ისრაელში, ვმასპინძლობთ საქართველოდან ჩამოსულ მეგობრებს, ჩამოვდივარ საქართველოში დელეგაციებით, ვაწყობთ კულტურულ-შემეცნებით ღონისძიებებს, ვშრომობ და, ალბათ, ამიტომაც ჩემს მოღვაწეობას ცოცხალ დიპლომატიასაც უწოდებენ.

ერთხელ ხარაგაულის და ახალციხის მერებთან სუფრაზე მოვხვდი. სადღეგრძელოში ვთქვი, ერთ წელიწადში ორივე პარლამენტარები მენახეთ-მეთქი. მაშინ არც ფიქრობდნენ პარლამენტის წევრობაზე. ზუსტად ერთ წელიწადში ორივე დეპუტატი გახდა. მერე რომ შევხვდი, მეხუმრებოდნენ: ებრაელის დალოცვამ იმუშავაო.

დიდი ხანი არ არის, რაც ორგანიზაცია „გულთა კავშირი“ ჩამოვაყალიბეთ, სადაც გაერთიანებულნი არიან ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელები, ქართველი ებრაელი მწერლები, პოეტები, საზოგადოების გამოჩენილი წარმომადგენლები. „გულთა კავშირმა“ გადაწყვიტა, გამოეცა ქართველ „ებრაელთა პოეზიის ანთოლოგია“. ამ გამოცემაში 65 პოეტის შემოქმედება მოხვდა.

**— მოგვიყევით, როგორ შეიქმნა „გულთა კავშირი“?**

— როგორც გითხარით, ხშირად ჩამოვდიოდი საქართველოში. ვგეგმავდი ღონისძიებებს. ერთხელაც ბატონმა შალვა წიწუაშვილმა თქვა, ორგანიზაცია გვჭირდება, რაღაც ფორმა უნდა მივცეთ ჩვენს საქმიანობასო. ამ ფიქრში ვიყავით, როცა ამერიკიდან ისააკ კრიხელმა დარეკა და როცა ჩვენი საქმიანობის შესახებ დეტალურად შეიტყო, თქვა: „გულთა კავშირს გაუმარჯოსო!“ აირჩიეთ თავმჯდომარე, ვინც გაუძღვება ამ ორგანიზაციასო და დაასახელა ჩემი სახელი და გვარი. ასე ჩამოყალიბდა საზოგადოება, რომლის ხელმძღვანელი დღეს თქვენი მონა-მორჩილი გახლავართ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ბოლო ხანებში მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის ისრაელში მოწვევა იყო.

ჩვენ ვაწყობთ შეხვედრებს, პოეზიისა და ლიტერატურის საღამოებს, მაგრამ თუ ვინმემ არ აიტაცა, არ გაამჟღავნა, არ გააგებინა საზოგადოებას, რომ „გულთა კავშირი“ არსებობს და თანაც ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს, მაშინ რისთვის იყო საჭირო ამ ორგანიზაციის შექმნა? იმისთვის, რომ პაატა იოსებაშვილს უთხრან: ყოჩაღ, პაატა?! არ მინდა მე მადლობა, ოღონდ გააშუქეთ, გააგებინეთ ხალხს, რომ ქართველებსა და ებრაელებს შორის კვლავ არსებობს ხიდი, კვლავ არის „გულთა კავშირი“ და ამ ურთიერთობებს აგრძელებენ და ამყარებენ ქართველებთან ერთად ბატონები: **შალვა წიწუაშვილი, გერშონ ბენ ორენი, მე, რობერტ ადარი (აჯიაშვილი), ნუგზარ ჯანაშვილი**, ქალბატონი **იზოლდა მოშიაშვილი, ნანა დავარი** და სხვები. თუ არ დაწერეთ ამაზე, ჩვენი ნაოფლარი დავიწყებას მიეცემა.

ისრაელში ახალჩამოსული რომ ვიყავი, პირველი, რაც გავაკეთე, იყო ის, რომ ჟურნალი „ჩირაღდანი“ გამოვეცი. ცოტა ხნის შემდეგ ქალაქის საბჭოში მოვხვდი, მერე დავწინაურდი და ვეღარ მოვიცალე ჟურნალისთვის — არქიტექტურის სამსახურის უფროსი გავხდი. ერთი რამის თქმა მინდა: ჩვენ სხვანაირი ურთიერთობები ვიცით, სხვანაირი სიყვარული, ქართველი ებრაელი რომ ხარ, სულ სხვა ხარ ისრაელში და სულ სხვა პასუხისმგებლობა გეკისრება, ამიტომაც არის, ალბათ, ზოგიერთი სხვა ქვეყნიდან ჩამოსული რომ იბრალებს ხოლმე — ქართველი ებრაელი ვარო, თუმცა ჩვენ მშვენივრად ვიცით, ვინ ვინ არის.

**ბადათერ არაბული, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე:** გასულ კვირას ისრაელში „გულთა კავშირმა“ ღონისძიებაზე მე, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე და მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი **ნოდარ კობერიძე** მიგვიწვიეს.

მაგრამ სანამ ამ ვიზიტზე ვრცლად მოგიყვებოდეთ, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო თქვენი გაზეთის რედაქტორს, გამოჩენილ პოეტსა და პუბლიცისტს ვახტანგ ხარჩილავას, რომელიც შესანიშნავ გაზეთს აკეთებს და ქართულ-ებრაულ თემასაც სისტემატურად აშუქებს.

მინდა, გითხრათ ის 26 საუკუნე, ქართველები და ებრაელები ერთად რომ ცხოვრობდნენ, ამ ფაქტს, ურთიერთობის ამ უპრეცედენტო შემთხვევას, საქართველოს ხელისუფლებამ სათანადო შეფასება მისცა და მთავრობის გადაწყვეტილებით, 26-საუკუნოვან



მერაბ მიხელაშვილი და ბალათერ არაბული

ქართულ-ებრაულ ურთიერთობას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა. ამის შესახებ უკვე ეცნობა იუნესკოს. ახლა სწორედ იუნესკოს დადგენილებას ველოდებით.

მე არ მგონია, რომ მომავალში ქართველი ებრაელების შვილიშვილები და შვილთაშვილები ქართულად ისე ილაპარაკებენ, როგორც საქართველოში ნაცხოვრები ქართველი ებრაელები და ისევე სისხლხორცეულად ეყვარებათ ეს ქვეყანა, როგორც მათ წინაპრებს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ყოველივე ქართულის კვლევას, ჩხრეკას, ძიებას არ მოიშლიან და თავიანთ ფესვებს, ჩვენსკენ მომავალს, არ დაკარგავენ.

ისრაელის ხელისუფლება ამის ინიციატორი ვერ იქნება, მეტი აქტიურობა ქართულმა მხარემ უნდა გამოიჩინოს. ქართული ენის არდავიწყებისთვის, ისეთ ქალაქებში, სადაც უმრავლესი რაოდენობით ქართველი ებრაელები ცხოვრობენ, მაგალითად, ქალაქ აშდოდში, სადაც 50 000 ქართველი ებრაელი ცხოვრობს, უნდა შეიქმნას საკვირაო სკოლები, ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შესასწავლად, ქართულ-ებრაული ურთიერთობების გასაცნობად და უკვდავსაყოფად.

მწერალთა კავშირი გამოდის ინიციატივით და პირადად მე ავიღებ ჩემს თავზე, რომ სახელმძღვანელოები, რაც ამ ბავშვებს დასჭირდებათ, უსასყიდლოდ გავუგზავნოთ ისრაელში.

სასურველი იქნება, ამ ინიციატივას მეტი ყურადღება დაუთმოს საქართველოს საელჩომ ისრაელში. ამ საკითხზე ჩვენ უკვე ვესაუბრეთ ჩვენს ელჩს ისრაელში, ბატონ **პაატა კალანდაძეს** და იმედი გვაქვს, რომ საკითხი დადებითად გადაწყდება.

რაც შეეხება ჩვენს მოგზაურობას; შესანიშნავი მასპინძლები დაგვხვდნენ ისრაელში.

ბატონი **პაატა იოსებაშვილი**, რომელიც გულანთებული იბრძვის ქართულ-ებრაული ურთიერთობების გასაღრმავებლად, ისრაელის ქართველობაში ცნობილი ადამიანია. მას შეუძლია წყნარად იჯდეს ისე, რომ თავი არაფერზე შეიწუხოს, მაგრამ, რომ იტყვიან, არ ისვენებს და ძალიან კარგ საქმეებს აკეთებს.

ქართული დელეგაცია აშდოდში დაგვაჯილდოვეს სპეციალური დიპლომებით ქართულ-ებრაულ ურთიერთობებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

მე გახლდით იმ სამყაროში, რომელიც ჩემთვის უძვირფასესია ჩემი სამშობლოს შემდეგ. მე ვიყავი იმ ადგილას, საიდანაც ჩვენი სულიერი ძალა, ჩვენი რწმენა მოდის. ქრისტეს დაბადების ადგილიდან ჯვარზე გაკვრამდე ყველა ადგილი მოვიარე და სულიერად ამაღლებული დავბრუნდი საქართველოში.

ეს ბედნიერება გვხვდა წილად ბატონი პაატას ხელმძღვანელობით, ბატონების: **რობერტ ადარის (აჯიაშვილი)** და **ნუგზარ ჯანაშვილის, იზოლდა მოშიაშვილის, შალვა ფიფუაშვილის, ნანა დავარი-შაბათაშვილის** მონდომებით, რომელსაც ჩვენთვის მოწყობილი საღამო მიჰყავდა აშდოდში **ნუგზარ ჯანაშვილთან** ერთად. ყურადღება არ მოუკლია ჩვენთვის მათ მეგობარს და ჩვენს მეგობარს შესანიშნავ პიროვნებას ბატონ მერაბ მიხელაშვილს და ჩემ დას **ეთერ არაბულს**.

ფიფინდა გიორგის საფლავთან

აღსანიშნავი იყო ქალაქის მერის მოადგილის **მოშე ბოთეერაშვილის** მასპინძლობა. ის დაესწრო ამ ღონისძიებას, საპატიო დიპლომით დაგვაჯილდოვა და დიდი სიყვარული გვაჩვენა.

შეხვედრისას მთელი დარბაზი სავსე იყო ქართველი ებრაელებით და ემიგრანტებით.

ალბათ, იცით, შარშან ქართველ ებრაელთა პოეზიის ანთოლოგია გამოიცა, რომელშიც 65 ქართველი ებრაელის შემოქმედება მოხვდა. აღსანიშნავია ის, რომ ამ 65 პოეტიდან მხოლოდ 3 ცხოვრობს საქართველოში, დანარჩენები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არიან. ამ ანთოლოგიას მე „ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა საგალობელი“ დავარქვი და სხვადასხვა ქართულ გაზეთში გამოვაქვეყნე ლექსები ამ ანთოლოგიიდან. საზოგადოება მოიხიბლა ნანა შაბათაშვილის, რობერტ აჯიაშვილს, ნუგზარ ჯანაშვილის, სიმხა ადარის, ფირუზ ჯანაშვილის ლექსებით.

ქართველი ებრაელები ასე რომ ესათუთებიან ქართულ ენას, ქართულ მწერლობას, მე, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელს, რა უფლება მაქვს, არ ვიყო მათი მადლიერი?! ამიტომ მწერალთა კავშირის სამდივნოს გადაწყვეტილებით, ისრაელში მცხოვრები და მოღვაწე მწერლები დავაჯილდოვეთ „მადლიერების დიპლომებით“ ქართულ ლიტერატურაში შეტანილი წვლილისთვის, ენის შენარჩუნებისა და მოვლისთვის.

პოტე თავართქილაძე, ბალათერ არაბული, ეთერ არაბული, ნუგზარ ჯანაშვილი და მერაბ მიხელაშვილი

მწერალთა კავშირმა „მადლიერების დიპლომით“ დააჯილდოვა **ნანა შაბათაშვილი, ნუგზარ ჯანაშვილი, გერშონ ბენ ორენი (ფიფუაშვილი), სიმხა ადარი, სულო სეფიაშვილი, იზოლდა კრიხელი, თამარ მამისთვალოვი, გია მოშიაშვილი, სიმა ჯანაშვილი, რაია ფიფუაშვილი, ისაკ ირაკლი კრიხელი** და **იზოლდა მოშიაშვილი**. მანამდე პოეზიის ანთოლოგიის პრეზენტაციის დროს, დაჯილდოვდნენ **შალვა ფიფუაშვილი** და **რობერტ აჯიაშვილი**.

რა საჭიროა ახალი „ველოსიპედის“ გამოგონება, როცა წინ გვიდევს ურთიერთობების ამხელა ისტორია? როცა ებრაელი ხალხი არ ივიწყებს ჩვენს მეგობრობას?

უნდა ჩავიდეთ და ვნახოთ, როგორ ააშენეს უძლიერესი სახელმწიფო უდაბნოს ქვიშაზე, გადმოვიტანოთ სოფლის მეურნეობის მოწყობის სტრუქტურები, მრეწველობის, მშენებლობების გამოცდილებები და სხვ. ისინი მოხარულნი იქნებიან და პირიქით, მზადაც არიან დასახმარებლად.

**— მთელი ერი მობილიზებულია, რამდენადაც ვიცი.**

— დიახ. ყოველ დილით ყოველი ხე, ბუჩქი, მინდორი ირწყვება. დილიდანვე ყველა მზადაა ქვეყნის სამსახურისთვის.

ჩვენ აპრილის თვეში ვიყავით ისრაელში.

18 აპრილი გლოვის დღედ აქვთ გამოცხადებული ებრაელებს — ისრაელისთვის დაღუპულთა ხსოვნის დღედ.

დახოცილთა ხსოვნის საპატივცემულოდ, დღის 11 საათზე მთელი ქვეყნის მასშტაბით, ორი წუთით სირენა ირთვება.

ზღვაზე ვიყავით მე, ნოდარ კობერიძე, რობერტ აჯიაშვილი და ნუგზარ ჯანაშვილი, როცა სირენა ჩაირთო. ორი წუთი გაშეშებული ვიდექით ზღვის სანაპიროზე ისრაელისთვის დაღუპულთა პატივსაცემად.

ეს არის უმაღლესი პატრიოტიზმის განცდის მქონე ერის თვითშეგნება.

სანამ ჩვენ არ გვექნება იგივე განცდა, ჩვენი საქმე წინ ვერ წავა.

ორი წუთის განმავლობაში ისრაელში ყველა საწარმო, ქარხანა, ჩერდება და ფეხზე დგება დიდიც და პატარაც. გლოვის დღის დასრულების შემდეგ კი იწყება საყოველთაო ზეიმი.

წლეულს სახელმწიფოებრიობის აღდგენის 70 წლისთავი გაიმართა.

მე დავდიოდი ბათ-იამის ქუჩებში, როგორც ებრაელების დიდი მეგობარი და ჩვენი მეგობრების სიხარული მიხაროდა.

**— ურთიერთობების პერსპექტივებსა და გეგმებზეც მოგვითხრეთ.**

— მწერალთა კავშირის ინიციატივით გადავწყვიტეთ ქართულ-ებრაული ლიტერატურის ყოველწლიური ფესტივალის დაფუძნება. ფესტივალი ერთ წელიწადს საქართველოში გაიმართება, მეორე წელს — ისრაელში. ამ ინიციატივის განხორციელებაში მხარში დაგვიდგება ბატონი პაატა იოსებაშვილი, საქართველოს საელჩო ისრაელში, იმედი მაქვს, ამ ინიციატივას ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები მხარს დაუჭერენ, ასევე ებრაელთა მუზეუმის ხელმძღვანელობა საქართველოში და ა. შ.

ვნახოთ, რა გაგრძელება ექნება ამ იდეას.

ფესტივალზე გაიცემა ბატონი ჯემალ აჯიაშვილის პრემია, რომელიც მიენიჭება ერთ ებრაელ და ერთ ქართველ მწერალს, ქართულ-ებრაულ ურთიერთობებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

ჯემალ აჯიაშვილი ვახსენე და არ შემიძლია რამდენიმე სიტყვა ამ დიდებული ადამიანის შესახებ არ გითხრათ. შესანიშნავი ურთიერთობა გვქონდა მე და ბატონ ჯემალს. მოგეხსენებათ, დიდი ხანი არ არის, რაც ის გარდაიცვალა. მაშინ ჩვენ ვერ შევძელით ჩავსულიყავით ისრაელში. ამიტომ ამჯერად გადავწყვიტეთ, მის საფლავზე მივსულიყავით. საქართველოს წარმომადგენლები და მასპინძლები, ყველა წავედით ბატონი ჯემალის განსასვენებელთან და პატივი მივაგეთ ამ მართლაც ღირსეული ქართველის და ღირსეული ებრაელის ხსოვნას.

თბილისისკენ გამომგზავრების დრო დადგა. ის დრო, როცა ჩვენ უნდა გამოვმშვიდობებოდით ჩვენს საუკეთესო მასპინძლებს. მადლიერებით სავსე დავბრუნდით საქართველოში, რადგან 50—60 წლის წინ წასულ ადამიანებს არ დავიწყებიათ საქართველო და იქ, ისრაელში კვლავაც ქართულ კულტურას, ქართულ-ებრაულ ურთიერთობას გულწრფელად ემსახურებიან.

დიდი მადლობა მათ!

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ბატონო ბიძინა, თუ გინდათ განათლების სისტემას ეშველოს, აამოქმედეთ ის ბრწყინვალე პროგრამა, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ თქვენი მონაწილეობით 2012 წელს შექმნა

## გიორგი მარგველაშვილი ჯერ კიდევ მაშინ უნდა გაეშვათ ხელისუფლებიდან, როცა განათლების მინისტრი იყო და „ნაცმოძრაობის“ მიერ დატოვებული პროგრამისთვის ხელი არ უხლია

**რა ეწერა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში, ვინ შეუშალა ხელი მის შესრულებას, რატომ უნდა გაეშვა ბიძინა ივანიშვილს გიორგი მარგველაშვილი განათლების მინისტრის თანამდებობიდან და რა გაამხილა ედუარდ შევარდნაძემ ხელისუფლებიდან წასვლამდე? „საერთო გაზეთი“ განათლების ექსპერტს მანანა ნიკოლაიშვილს ესაუბრა:**

— დავიწყებ იმით, რომ „ქართული ოცნების“ სხვა დარგობრივი კომისიების მსგავსად, განათლებისა და მეცნიერების კომისიებშიც სერიოზული მუშაობა მიმდინარეობდა. ტარდებოდა შეხვედრები, რომლებსაც რამდენჯერმე ბიძინა ივანიშვილიც დაესწრო. პროგრამის ავტორებისა და ექსპერტების ერთობლივი შრომის შედეგად მივიღეთ კარგი და გამართული პროგრამა, რომლის

მსგავსი არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ჰქონია. ძირითადი საკითხები შვიდ პუნქტად იყო ჩამოყალიბებული: განათლების სისტემის დეპოლიტიზირება, პოლიციური რეჟიმის აღმოფხვრა, ეფექტური მართვისა და დაფინანსების მექანიზმების შექმნა. მოგეხსენებათ, რომ საბაკშვილის ხელისუფლების დროს, დარღვეული იყო საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და ჩვენი კონსტიტუციით გათვალისწინებული განათლების ხელმისაწვდომობისა და თანაბრობის პრინციპი. ამ ვითარების გამოსწორება აუცილებელი იყო, რაც პროგრამაშიც ჩაიწერა. პირდაპირ იყო გაწერილი განათლების ხარისხის ამაღლებისა და მეცნიერების განვითარების ძირითადი მიმართულებები. მსოფლიოში მიმოფანტული ქართველი მეცნიერების მოზიდვის, დაფინანსებისა და სოციალური დაცვის საკითხები და ა.შ.

— **საინტერესოა, რა შესრულდა ამ პროგრამიდან და რა არა?**

— სამწუხაროდ, რამდენიმე ქვეპუნქტის გარდა, არაფერი გაკეთებულა. პროგრამაში პირდაპირ ეწერა, რომ საბაკშვილის ხელისუფლების დროს მიღებული ყველა ანტიმეცნიერული, ანტიეროვნული, ანტიკონსტიტუციური, ანტიხალხური, ანტიჰუმანური და საერთაშორისო სამართლის ნორმების წინააღმდეგ მიმართული კანონები უნდა შეცვლილიყო. დავსვათ მთავარი კითხვა- არის თუ არა ეს კანონები შეცვლილი დღეს, როცა ქართულმა ოცნებამ ერთი ვადა ამოწურა და მეორე ვადის შუაშია? რა თქმა უნდა, არა! დრო საკმარისზე მეტი ჰქონდათ, რომ გაეკეთებინათ, მაგრამ არ გააკეთეს. თუნდაც, განათლების დაფინანსება ავიღოთ. პროგრამის მიხედვით, ვაუჩერული დაფინანსება უნდა გაუქმებულიყო, საგრანტო დაფინანსება უნდა შეცვლილიყო და განათლების ოთხივე საფეხურზე სრულიად ახალი წესი უნდა შემოგვეღო, რაც არ მომხდარა. ეროვნული გამოცდების დღევანდელი მოდელი და საგნების არჩევითობა პირდაპირ ანგრევს უმაღლეს სკოლას. პროგრამა, რომლითაც „ქართული ოცნება“ მოვიდა, ამ ყველაფრის შეცვლას ითვალისწინებდა, რაც არ მოხდა. პირად საუბრებში ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი პროგრამის შეუსრულებლობას საერთაშორისო ძალების წინააღმდეგობას აბრალებდა, მაგრამ ეს თავის მართლებას უფრო ჰგავს..

— **განათლების სისტემის დეპოლიტიზირებასა და პოლიციური რეჟიმის აღმოფხვრაზე რას იტყვით?**

— არც ეს მომხდარა.. თქვენ საბაკშვილის პერიოდში დეტალურად აშუქებდით განათლების სისტემის ოთხივე საფეხურს და მშვენივრად იცით, რომ საბავშვო ბაღებიდან დაწყებული, კვლევითი ინსტიტუტებით დამთავრებული, ყველაფერი პოლიტიზირებული იყო. ისიც გემახსოვრებათ, რომ 2004–2005 წლებში ნაციონალებმა ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ავტონომია ფეხქვეშ გათელეს, ერთი ბრძანებით ქუჩაში გაყარეს მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები, რექტორები, აკადემიური საბჭოები, პროფესორ-მასწავლები, სკოლის დირექტორები, პედაგოგები და მათ ნაცვლად, საკუთარი აქტივისტები დანიშნეს. ახლა მთავარი კითხვა — რატომ არ ჩაატარა „ქართულმა ოცნებამ“ ხელახალი კონკურსები და რატომ არ მოაცილა სისტემას ნაციონალების პოლიტიზირებული კადრები? სხვათა შორის, ეს კითხვა ხელისუფლების ერთ-ერთ მაღალჩინოსანს დავუსვი და კითხვა შემომიბრუნა — რა მნიშვნელობა აქვს ქუჩაში აქციებს ვინ მოგვიწყობს ნაციონალი თუ ოცნების მომხრეო? ეს იყო მარგველაშვილის და ზოგადად, „ქართული ოცნების“ ლოგიკა. პროგრამით გათვალისწინებული დეპოლიტიზირება სწორედ იმიტომ არ მოხდა, რომ ნაციონალების პარტიული ნიშნით დანიშნული ხალხი თანამდებობაზე დარჩა და იგივე საკადრო პოლიტიკა გრძელდება.

— **გემახსოვრებათ, პრეზიდენტის სიტყვები — განათლების სამინისტროში ჩემი მინისტრობის შემდეგ არაფერი გაკეთებულაო.**

— მარგველაშვილმა ბრძანა, მე გავეცანი ეროვნულ სასწავლო გეგმას, მოვისმინე სპეციალისტების რჩევები და ვფიქრობ, რომ ამ ეროვნულ სასწავლო გეგმას შეცვლა არ ჭირდებაო. საინტერესოა, რომელი სპეციალისტების რჩევები მოისმინა, იმ ნაციონალების ხომ არა, რომლებმაც განათლების სისტემა გაანადგურეს და დამანგრეველი კანონები მიიღეს?

მე თუ მკითხავთ, როცა გიორგი მარგველაშვილმა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა, იმავე დღეს თანამდებობიდან უნდა მოეხსნათ. პირველივე საჯარო განცხადებებიდან გამოჩნდა, რომ მარგველაშვილი „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ბანაკში არ იყო.

— **ახლახან, პრეზიდენტმა შეგვახსენა, რომ განათლების მინისტრად მუშაობის დროს პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული პედაგოგების სამსახურში აღსადგენად ქმედითი მექანიზმი შექმნა.**

— როგორც ვიცი, კომისიაში მხოლოდ ერთი კვირის მანძილზე ორი ათასამდე განცხადება შევიდა, მაგრამ მათი უმეტესობა კანცელარიიდან დაიკარგა, რაც ნაციონალებით დაკომპლექტებულ სამინისტროში გასაკვირი არაა. საბოლოოდ, ათასამდე განცხადებიდან ოციოდე დაკმაყოფილეს და აქედანაც სამსახურში ერთი თუ ორი უფლებადარღვეული დირექტორი აღადგინეს. ამით იწონებს თავს მარგველაშვილი?

— **საუბრის დასაწყისში ბრძანეთ, რომ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი წინასაარჩევნო პროგრამის შეუსრულებლობას საერთაშორისო ძალების წინააღმდეგობით ხსნიდა. იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რომელ საერთაშორისო ძალებს გულისხმობდნენ და რა იყო ზემოთხსენებულ პროგრამაში მათთვის მიუღებელი?**

— ცოტა შორიდან დავიწყებ და გეტყვით, რომ მე წლების მანძილზე თბილისის საკრებულოში სოციალურ საკითხთა კომისიის ვხელმძღვანელობდი. ვადის ამოწურვის შემდეგ ანუ 2003 წლიდან თბილისის მერისა და საკრებულოს მთავარი მრჩეველი გახლდით. ეს ის პერიოდია, როცა საკრებულოს მიხეილ საბაკშვილი ხელმძღვანელობს, პარლამენტს ნინო ბურჯანაძე და ახალგაზრდა რეფორმატორები ხელისუფლებაში მოსასვლელად ემზადებიან. ამ გუნდის მიზანი ხელისუფლების მაქსიმალურად შესუსტება იყო, ამიტომ ხელისუფლებისთვის განათლების, სპორტისა და კულტურის ანუ ყველაზე მასობრივი დარგების წართმევა მოინდომეს და მუნიციპალური სკოლის დებულება შეიმუშავეს. ამის პარალელურად, სტუდენტებთან აქტიურად მუშაობა დაიწყეს. სწორედ მაშინ მოხდა აბსოლუტურად მიუღებელი რამ — საერთაშორისო კანონმდებლობით, განათლების სისტემაში პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებების შექმნა აკრძალულია. სწორედ ეს პრინციპი დაარღვიეს ახალგაზრდა რეფორმატორებმა. მე იმ დროს, ახალგაზრდა რეფორმატორების გუნდს ოპონირებას ვუწევდი. მუნიციპალური სკოლის დებულებასთან დაკავშირებით დეტალური დასკვნა დავწერე, რომელსაც ვერაფერი დაუპირისპირეს და როგორც ქვეყნის პოლიტიკურმა ელიტამ თუ ექსპერტულმა წრეებმა შეაფასეს, მაშინ რეფორმატორებს ასით ნული მოვუგე. მე პირდაპირ ვუთხარი საბაკშვილს, რომ ამის მიღებას არ დავანებებდი, თუმცა, შემდეგ დებულება თბილისის მთავრობას მიაღებინა.

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, გეტყვით, რომ ამ საკითხებზე სასაუბროდ შევარდნაძემ ჩემთან შეხვედრა მოისურვა. ჩვენს შორის რამდენიმე შეხვედრა შედგა. პირველ შეხვედრაზე პრეზიდენტმა მთხოვა, როგორც ექსპერტს შემეფასებინა საქართველოში განათლების ოთხივე საფეხური და მოურიდებლად მეთქვა რა გაფუჭდა ან არასწორად გაკეთდა მისი მმართველობის დროს განათლების სისტემაში. მეორე შეხვედრაზე შევარდნაძეს ჩემი დასკვნა მივუტანე და როცა კიდევ შევხვდი, ყველაფერი წაკითხული და დამუშავებული ჰქონდა. ჩვენს შორის საინტერესო დიალოგი გაიმართა. მე მას საკადრო პოლიტიკის შესახებ და კონკრეტულად, ერთ-ერთი მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნის მიზანშეწონილობაზე ვკითხე და გამაოგნებელი პასუხი გამცა. შევარდნაძემ მითხრა, თქვენ რომ ის კანდიდატურები გენახათ, რომელსაც მთავაზობდნენო, თვალებს არ დაუჯერებდით. ყალბი თავმდაბლობის გარეშე აღნიშნა, რომ მისი წონისა და გავლენების მქონე პოლიტიკოსს უზარმაზარი ძალისხმევა დაჭირდა, რომ განათლების მინისტრად შეთავაზებულებზე უკეთესი კანდიდატურა დაენიშნა. ამის გარდა, ისეთი რეფორმების გატარებას მოითხოვდნენ, რასაც არასოდეს გავაკეთებო.

— **კონკრეტულად, რა რეფორმებზე იყო საუბარი?**

— მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდში საქართველოს „კურატორმა“ შადმან ვალავიმ ბაგა-ბაღების დახურვა მოთხოვა. „კურატორმა“ შადმან ვალავიმ ბაგა-ბაღების დახურვა მოთხოვა. თუ გინდათ, რომ ფოთში ხორბალი შემოვიდეს, ბაღები უნდა დახუროთო. საერთაშორისო ორგანიზაციებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ ხარისხიანი განათლება ხარისხიანი სკოლამდელი აღზრდის სისტემის გარეშე შეუძლებელია. რა თქმა უნდა, შევარდნაძის ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ ეს ყველაფერი განახორციელეს და მიშა იქნებოდა თუ გრიშა, არავინ არაფერს ჰკითხავდა. საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო განათლების სისტემა ჰქონდა და სისტემის ასეთი სრულმასშტაბიანი ნგრევა არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა. სანამ ხელისუფლება ნაციონალების მემკვიდრეობაზე უარს არ იტყვის და თავისი პირველი პროგრამის განხორციელებას არ შეუდგება, არავითარი განათლების ხარისხის ამაღლება არ გვექნება და ამას რაც უფრო მალე მიხვდებიან, ქვეყნისთვის უკეთესი იქნება.

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# იქონიებს თუ არა გავლენას სომხეთში მიმდინარე მოვლენები საქართველოზე?

***სომხეთში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებსა და სხვა საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით, გვესაუბრება პოლიტოლოგი, პროფესორი თამარ კიკნაძე.***

– სომხეთში მეგობრები მყავს, მათ შურდათ ჩვენი, დემოკრატიული გარდაქმნები განახორციელეთ, პროდასავლურები გახდით, ჩვენთან კი კორუფცია, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა და არაფერი იცვლებაო. მომავალი გვიჩვენებს ხელისუფლების ცვლილება სომხეთს დადებით შედეგს მოუტანს თუ უარყოფითს, მაგრამ ჩემი აზრით, სომხეთმა პოლიტიკური თვალსაზრისით ამ ცვლილებამდეც ძალიან დიდ წარმატებას მიაღწია. ევრაზიული კავშირის წევრმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, ანუ დაბალანსებულ პოლიტიკას აწარმოებდა, თუმცა ხედავთ როგორც დამთავრდა ეს ყველაფერი. ვნახოთ როგორ განვითარდება მოვლენები, არ დაგვავიწყდეს, რომ ძალიან ძლიერია რუსეთისა და ირანის ფაქტორი, შემთხვევითი არ არის, რომ გარკვეული მზადებაა აზერბაიჯანში, ალიევის ვიზიტი თურქეთში და ა.შ. თუ სომხეთი განვითარებული მოვლენები არ არის შეთანხმებული რუსეთთან და მის მიერ მხარდაჭერილი, თუ მკვეთრი ანტირუსული მოძრაობები განხორციელდა, არ არის გამორიცხული ყარაბაღის პრობლემის სხვაგვარად განვითარების მოწმე გავხდეთ. სომეხი პოლიტიკოსები ძალიან ხშირად ამბობენ, პაშინიანმაც თქვა თავის გამოსვლაში, რუსეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და რატომ ყიდის იარაღს აზერბაიჯანზეო, რაზეც რუსებს ასეთი პასუხი აქვთ, ჩვენ რომ არ მივყიდოთ, აზერბაიჯანელები სხვისგან მაინც იყიდიან იარაღსო. პაშინიანი და პუტინი სოჭში კი ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ ესეც ბევრი არაფრის მთქმელია, სააკაშვილი გაპრეზიდენტების შემდეგ პირველად პუტინს შეხვდა, მაგრამ ეს არ გამხდარა იმის გარანტი, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობები დათბებოდა. ჩემი აზრით, სომხებს ძალიან ფრთხილი მოქმედება მართებთ, რადგან იქით ირანი ყავთ, აქეთ რუსეთი. პარადოქსული ისაა, რომ სომხეთში მგონი, სიდიდით მეორე საელჩო აქვს ამერიკას, ძალიან დიდია სომხეთში ამერიკული გავლენა, ამერიკელები ფაქტობრივად სრულად აკონტროლებენ იქ ვითარებას. პროამერიკული და საერთოდ, პროდასავლური განწყობები არის სომხეთში, მაგრამ სომხები იმასაც კარგად ხედავენ, რომ რუსეთი ჭირდება თ. მიუხედავად ამისა, ძალიან უნდათ პროდასავლური ვექტორის განვითარება, იმ ფონზეც რუსეთში ძალიან დიდი დიასპორა რომ ყავთ, ამ მხრივ რუსეთი პირველ ადგილზეა. მათი საქმე კარგად ვითარდებოდა, მთავარია, ახლა რა პროცესები განვითარდება, ძალზე საინტერესოა რუსეთი როგორ პოზიციას დაიჭერს იგივე ყარაბაღის პრობლემის მიმართ. სტრატეგიული პარტნიორები კი არიან, მაგრამ პოლიტიკა მაინც ბინძურია, მეტნაკლებად ვიცნობ პოლიტიკურ კულუარებს, ამიტომ არ გამოვრიცხავ ყარაბაღის კონფლიქტის განახლების შემთხვევაში, რუსეთი არათუ არ ჩაერიოს, მიესალმოს კიდეც ეს კონფლიქტი აზერბაიჯანის სასარგებლოდ რომ გადაწყდეს. საკმაოდ გვაქვს მაგალითები, როდესაც ამ სახის სახელისუფლებო ცვლილებები ქვეყნისთვის, კარგად არ მთავრდება ხოლმე, ჩვენ ორი ტერიტორია დე-იურედ დავკარგეთ, აღარაფერს ვამბობ სხვა ფერად რევოლუციებზე, რაც იმ ქვეყნებისთვის ცუდად დამთავრდა.

**– ქალბატო თამარ, მიმდინარე პროცესები საქართველოზეც აისახება?**

– რა თქმა უნდა, ყარაბაღის კონფლიქტის განახლება, ჩვენი უახლოესი მეზობლების ასეთი გართულებული ურთიერთობები დაძაბულობას გამოიწვევს რეგიონში, რომლის წარმომადგენლები ჩვენც ვართ. მით უმეტეს, რომ ეს არის ჩაფიქრებული დასავლეთის მიერ, მათ უნდათ რუსეთის გარშემო არეულობის რკალი შეიქმნას, აგერ უკრაინაში რა მოხდა, მოლდავეთშიც არ არის მშვიდი ვითარება, სირიაში წლებია საომარი ვითარებაა, ამ ყველაფერს სომხეთიც დაემატა, ასე რომ, რუსეთი საკმაოდ რთულ მდგომარეობაშია. ექსპერტებს რომ ვხვდები მაშინაც ვამბობ და გავიმეორებ, მე არ მესმის რუსეთის პოლიტიკა. სწორედ მათი ამ გაუგებარი პოლიტიკის შედეგია, პოსტსაბჭოთა სივრცეში ასეთი პროცესები რომ განვითარდა. თუ რუსეთს უნდა, რომ ეს სივრცე მისი გავლენის სფერო იყოს, მაშინ ცოტა სხვანაირად უნდა მოქცევა, რუსებისთვის კი დამახასიათებელი უხეში ჩარევაა, როგორც საქართველოს მიმართ განახორციელეს, უბრალოდ ჩვენი ორი ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინეს და იქ თავისი სამხედრო ბაზები განათავსეს, მაშინ, როცა ამერიკა და საერთოდ დასავლეთი სულ სხვაგვარად, რბილი ძალის გამოყენებით მოქმედებს. ეს მეთოდი უფრო ეფექტურია, იმიტომ, რომ ადამიანის გონებაზე, განწყობაზე, შეხედულებებზე ძალიან ძლიერ გავლენას ახდენენ, თუმცა აქ არც ის მოვლენები უნდა დაგვავიწყდეს, რაც დღეს ევროპაში ვითარდება. უნდა ითქვას, რომ ის სანქციები, რომელიც ამერიკამ რუსეთს დაუწესა, თვითონ ევროპას არ წაადგა, ფაქტია, გერმანიამ მძიმე ეკონომიკური დანაკლისი განიცადა. ამერიკა ამ თვალსაზრისით ორ კურდღელს იჭერს, რუსეთსაც ასუსტებს და ევროპასაც, რადგან ევროპელების, განსაკუთრებით გერმანიის ინტერესშია რუსეთთან ურთიერთობა. თუ სწორად მახსოვს გერმანიას და რუსეთს 5.000 ერთობლივი საწარმო აქვთ და წარმოიდგინეთ, როგორი ეკონომიკური ვითარება შეიქმნებოდა ამ სანქციების ფონზე. მიუხედავად აშშ-ის ასეთი ზეწოლისა, ხელი მოეწერა გაზსადენ „ჩრდილოეთის ნაკადის“ ხელშეკრულებას, თურქეთსაც მჭიდრო ეკონომიკური კავშირები აქვს რუსეთთან, რომელმაც იქ ატომური ელექტროსადგურიც ააშენა და ხელიც მოაწერეს თურქული ნაკადის პროექტს, თურქეთი ჰაბი იქნება, აქედან განაწილდება რუსული ბუნებრივი აირი ევროპის რიგ ქვეყნებში.

თურქეთი რუსეთისგან იარაღსაც ყიდულობს. ასე რომ, მსოფლიო წესრიგი დასალაგებელია, ახლა არის დალაგების პროცესი, რაც ძალზე მტკივნეულია. გარდა ამისა, უამრავი იარაღია დაგროვილი მსოფლიოში, ზოგი ამის გამოცდას ცდილობს, ზოგიც გასაღებას, ამიტომაც ტრიალებს მსოფლიოში დენთის სუნი. რომის პაპმაც აღნიშნა, რომ ფაქტობრივად მესამე მსოფლიო ომი მიმდინარეობს. ვითარება არის ძალიან რთული, საქართველო ფრთხილად უნდა იყოს, რადგან ეს ყველაფერი ჩვენს რეგიონთან ძალიან ახლოსაა. ამიტომ ჩვენი ყველა განცხადება და ნაბიჯი ძალიან მოზომილი უნდა იყოს. უამრავი ქართველია გასული ქვეყნიდან, მაგრამ ჩვენი დიასპორა არსად ჩანს ასპარეზზე. რუსეთის სახელმწიფო ორგანიზაციებში მრავლად არიან სომხური წარმოშობის ექსპერტები, ჟურნალისტები და ა.შ. ყველაზე გავლენიანი რუსული ტელეკომპანიის „რაშა თუდეის“ შეფი სომეხია. რუსეთში ძალიან ძლიერ სომხურ დიასპორასთან გვაქვს საქმე, განსხვავებით ქართველებისგან, რომლებმაც თავიანთი ნებით დათმეს დისპოზიციები. რუსეთში ძალიან ძლიერი გავლენა ჰქონდათ ქართველებს, რისი დათმობაც ძალიან დიდი შეცდომაა, იმიტომ, რომ ქართველებმა იმ ძირითად ქვეყნებში, რომლებიც მსოფლიო პოლიტიკას აკეთებს, ქართულ ინტერესებს უნდა გაუწიონ ლობი. საერთოდ ყველა ქვეყანასთან უნდა ვიმუშაოთ, შეიძლება ეს ღიად არ დავადასტუროთ, მაგრამ მუშაობა ყველასთან არის საჭირო, მით უმეტეს რუსეთთან, როდესაც ჩვენს სინამდვილეში ძალიან ბევრი პრობლემის გასაღები ამ ქვეყანაშია. ჩვენი პრემიერ-მინისტრი გვერდითაც კი ვერ დაუჯდა რუსეთის პრეზიდენტს, იმიტომ, რომ ეს ასე ვთქვათ, ტექნოლოგიები ისე არის მომართული, რომ არ მოხდეს რაღაც დაახლოება, მაგრამ ამას ვერ წაუვალთ. საჭიროა რუსეთთან მუშაობა, ისევე, როგორც ევროკავშირთან, აშშ-თან, აუცილებლად ახლო მეზობლებთან და საერთოდ, მთელ მსოფლიოსთან.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# ძლიერი რეგიონები

თეთრიწყარო

### თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ქორიძემ, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორის ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოადგილემ სოსო პირველმა და „შშმ პირთა დახმარების ფონდის“ ხელმძღვანელმა გოჩა კაპანაძემ შშმ პირებს: საღრაშენელ ნათელა მანთაძეს, ორბეთელ ზინაიდა დოლაშვილს და ქ. თეთრიწყაროში მცხოვრებ სურენ ოგანესიანს საჩუქრად ეტლები გადასცეს.

● ქვემო ქართლის რეგიონისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები გაეცნენ მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს, კერძოდ — ქალაქის ქუჩებისა და სოფელ ახალშენამდე მისასვლელი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პროცესს.

● ცხოვრების დონის გაუმჯობესებისთვის თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში დაიწყო ოთხწლიანი ინოვაციური პროექტი, რომელსაც „სოფლის მდგრადი განვითარება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში“ ეწოდება. პროექტი ENPARD-ის მეორე ფაზის ფარგლებში მიმდინარეობს და მას ახორციელებს ასოციაცია „სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“ (ღDFG).

### ბოლნისის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ჟორჟოლიანი, ქვემო ქართლის გუბერნატორთან და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ქალაქ სენტ ლუისში, აშშ-ისა და კანადის ფინანსისტთა ასოციაციის 112-ე ყრილობას დაესწრნენ.

საქართველოს დელეგაცია გაეცნო ამერიკისა და კანადის თვითმმართველობებში არსებულ მართვის თანამედროვე სისტემებს, საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანობის, პროგრამული ბიუჯეტირებისა და შიდა კონტროლის მიმართულებით გატარებულ რეფორმებს.

ქვემო ქართლის დელეგაციის წევრები შეხვდნენ ნიუ-იორკის, ჩიკაგოს, პორტლანდის, ტორონტოს და სხვა თვითმმართველობების წარმომადგენლებს.

● მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა მოადგილესთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან ერთად ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საგანმანათლებლო სარეაბილიტაციო ცენტრი „იმედი“ მოინახულა, კიდევ ერთხელ გაეცნო მის მუშაობას და არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიში მოისმინა.

ცენტრმა ამ დრომდე დახმარება გაუწია 11 ბენეფიციარს. ძალადობის მსხვერპლ ქალებს ადგილზე ფსიქოლოგი, იურისტი, ექთანი და სოციალური მუშაკი ემსახურება. ბენეფიციარებს საშუალება აქვთ ასევე ჩაერთონ სხვადასხვა სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამაში.

ცენტრი „იმედი“ ევროკავშირის პროექტის „არა ოჯახში ძალადობას“ ფარგლებში 2017 წლის 17 ივლისს გაიხსნა და მისი მიზანია ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

### დმანისის მუნიციპალიტეტში

დმანისის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ტატუაშვილმა და ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ლევან ჟვანიამ რადიო „იმედის“ ეთერში ქვემო ქართლის ტურისტულ პოტენციალზე იმსჯელეს.

### მარნეულის მუნიციპალიტეტში

● მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ იმირის მიმდებარედ არქეოლოგიურ ძეგლზე ე.წ. „გადაჭრილი გორაზე“, კანადის ტორონტოს უნივერსიტეტისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, დაიწყო ყოველწლიური არქეოლოგიური სამუშაოები, რომელიც 2018 წლის 17 ივნისამდე გაგრძელდება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტერიტორიის მოწესრიგება.

სასწავლო პროექტის ფარგლებში, იერუსალიმის ჰებროუს უნივერსიტეტის თანამშრომლებმა დაათვალიერეს იმირის, გადაჭრილი და შულავერის გორები.

● მუნიციპალიტეტის სოფელ წერეთელში 9 აპრილის სახელობის სკვერის კეთილმოწყობა დაიწყო. პროექტის კონცეფცია მოსახლეობის ინიციატივით, მონაწილეობითა და იდეებით არის მომზადებული.

გასართობ-შემეცნებითი სკვერის მოწყობის იდეა წარმოდგენილი იყო პროექტ „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში და ერთ-ერთ საუკეთესო იდეად დასახელდა.

თანხა, 165 498 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო. სკვერის რეაბილიტაცია, ხელშეკრულების თანახმად, ივლისში დასრულდება.

### წალკის მუნიციპალიტეტში

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით წალკის მუნიციპალიტეტში 2013 წლიდან დღემდე განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი. წელს კი იგეგმება:

ქ. წალკაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების შენობის მშენებლობა;

დაბა თრიალეთისა და სოფ. კავთისთვის წყალმომარაგების ქსელის, რეზერვუარისა და სატუმბი სადგურის მოწყობა;

ბეტონის საფარის დაგება სოფ. კუში-ავრანლოს დამაკავშირებელ გზაზე (4,7 კმ); კუში-ნარდევანის 1,8 კმ-იან გზაზე; სოფ. დაშბაშის კანიონამდე მიმავალი გზის მოასფალტების სამუშაოების გაგრძელება და ა.შ.

წალკა

### ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

ჩოხატაურის მერიის სხდომათა დარბაზში ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრ „პროგრესის სახლის“ წარმომადგენლებმა საკონსულტაციო შეხვედრა გამართეს საგრანტო კონკურსის შესახებ.

„მონაწილეობითი CHARRETTE გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისთვის“ — ამ პროექტის ფარგლებშია გამოცხადებული მცირე გრანტების პროგრამა, რომელსაც ევროკავშირი აფინანსებს. პროექტი მიზნად ისახავს გურიის რეგიონში ტურიზმის

დედოფლისწყარო

განვითარების ხელშეწყობას.

პროექტს ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები ორ საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან — სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტსა და ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრის „პროგრესის სახლთან“ ერთად ახორციელებს.

შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით, ასევე დეტალურად განიხილეს სააპლიკაციო ფორმა.

საგრანტო კონკურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია საიტზე: www.guria.ge

### დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობა მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, მერის მოადგილემ მალხაზ მერაბიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გოჩა სამუკაშვილმა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენლებს გააცნეს.

გაეროს წარმომადგენლები დედოფლისწყაროს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის ფარგლებში ეწვივნენ. ENPARD III-ის (გაეროსა და ევროკავშირის სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი ერთობლივი პროგრამა) მიზანია საქართველოს მუნიციპალიტეტებისთვის ევროპული გამოცდილების გაზიარება და სოფლის მეურნეობის მიმართულებით ერთობლივი პროგრამების განხორციელება.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს სჯერათ, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს მარცვლეული კულტურის მოყვანის დიდი გამოცდილება და ხელშეწყობის პირობებში არსებული მოსავლიანობა კიდევ უფრო გაიზრდება. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტს გააჩნია არატრადიციული მარცვლეული კულტურის განვითარების დიდი პოტენციალიც. ამ აზრს იზიარებს FAO-ს წარმომადგენელი მატიე რუვერი, რომლის თქმითაც ერთობლივად განსახორციელებელი პროექტების სწორად დაგეგმვა მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის შემდგომი განვითარებისთვის.

### ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერი ჯონდო მდივნიშვილი GARE-ის ოფისების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე ვრცლად წარმოადგინეს LAG-ის ორწლიანი საქმიანობა, GARE-ის, ადგილობრივი ჯგუფისა და ადგილობრივი ხელისუფლების ეფექტიანი თანამშრომლობის შედეგები.

მუნიციპალიტეტის მერმა

# ძლიერი საქართველოსთვის

ლაგოდეხი

მადლობა გადაუხადა GARE-ს მუნიციპალიტეტში გაწეული ნაყოფიერი საქმიანობისთვის და წარმატებული თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა.

● ევროკავშირის მხარდაჭერით კახეთში ხორციელდება ახალი პროექტი „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“. პროექტის ფარგლებში კახეთის მუნიციპალიტეტის მერებთან შეხვედრა თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დარბაზში გაიმართა.

ევროკავშირის ეს ახალი პროექტი განკუთვნილია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის და მისი მიზანია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების მერებისა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა, ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერება და რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაში მათი როლის გაზრდა.

### გურჯაანის მუნიციპალიტეტში

● გურჯაანის მერი არჩილ ხანდამაშვილი აგრძელებს შეხვედრებს მოსახლეობასთან. ამჯერად იგი ქ. გურჯაანში, შარტავას ქუჩის მცხოვრებლებს შეხვდა.

„არ არსებობს მოსახლეობასთან პირდაპირ კონტაქტზე უკეთესი საშუალება იმისთვის, რომ უფრო ნათლად დაინახო სოფელში არსებული პრობლემები, უფრო ხელშესახები გახადო ისინი და ყველაზე მთავარი — მოუსმინო ადგილობრივთა რეკომენდაციებს. ხშირ შემთხვევაში, სწორედ ჩვენი გურჯაანელების რეკომენდაციები მეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში, რისთვისაც დიდი მადლობა მათ. ყველა ერთად მივაღწევთ ჩვენს საერთო მიზანს და გურჯაანი ერთ-ერთი საუკეთესო მუნიციპალიტეტი გახდება მთელ საქართველოში“, — აღნიშნავს მერი.

● მუნიციპალიტეტის მერი არჩილ ხანდამაშვილი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ ვეჯინში ღვინის მარნისა და საოჯახო ტიპის სასტუმროს „შატო ხარიტონას“ გახსნას დაესწრო.

### სიღნაღის მუნიციპალიტეტში

● თემ „ქედელში“ მესამე საცხოვრებელი სახლი გაიხსნა. სახლის მშენებლობა გერმანულმა ორგანიზაცია BMZ-მა დააფინანსა.

1999 წელს დაფუძნებული თემი „ქედელი“ საცხოვრებელი ერთობაა, სადაც შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ზრდასრული პირებისთვის შესაფერისი ოჯახური გარემოა შექმნილი. თემში ამჟამად 23 შშმ პირი ცხოვრობს. ისინი „ქედელში“ კასპისა და სენაკის ბავშთა სახლებიდან მოხვდნენ დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამის ფარგლებში.

თემში არსებულ შრომით თერაპიულ სახელოსნოებში საქმიანობით მათ ეძლევათ საკუთარი უნარებისა და სურვილების რეალიზების საშუალება. თემის მიზანია თავის მოსახლეებს გამოუმუშაოს დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევები, ხელი შეუწყოს მათს ინტეგრაციას და საზოგადოებაში დამკვიდრებული სტიგმის შემცირებას.

### დუშეთის მუნიციპალიტეტში

● მერია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული და ისტორიული ძეგლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის საჭირო სამუშაოებს იწყებს. პირველ ეტაპზე ჟინვალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 300 არაგველის მემორიალისთვის დამონტაჟდა განათების ახალი სისტემა. მუნიციპალიტეტის მერმა ზურაბ სეხნიაშვილმა, პირველ მოადგილესთან, გიორგი თანიაშვილთან ერთად, დაათვალიერა მემორიალი და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისთვის უკვე შესრულებული სამუშაოები.

● მუნიციპალიტეტის მერმა ზურაბ სეხნიაშვილმა ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ გრიგოლაანთკარში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა. სოფელში მიმდინარეობს სასაფლაოზე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და ხევზე გადასასვლელი ხიდ-ბოგირის მოწყობა. მოსახლეობა აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტის მერმა მათ დანაპირები შეუსრულა — სოფლის სასაფლაოს და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზის პრობლემა მათ წლების განმავლობაში აწუხებდათ, რის შესახებაც ზურაბ სეხნიაშვილს ერთ-ერთი შეხვედრისას დახმარება სთხოვეს.

### ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის კომისიამ სხდომაზე 76 მოქალაქეს სხვადასხვა სამედიცინო მომსახურება დაუფინანსა. დასაფინანსებლად გახარჯულმა თანხამ 17 511 ლარი შეადგინა.

● ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სანანაო-საფიფიოს უბანში, საავტომობილო ხიდის მოწყობა დასრულდა. ამ უბანში აქამდე ხიდი არ არსებობდა და მოსახლეობა შემოვლითი გზით სარგებლობდა.

პროექტის ღირებულება 24 185 ლარია.

● ზუგდიდში ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია გრძელდება. პროექტით გათვალისწინებულია: ბაღის ტერიტორიაზე არსებული შენობებისა და ღობის რეაბილიტაცია, წყალმომარაგების, სარწყავი, საკანალიზაციო, სადრენაჟო სისტემების მონტაჟი. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ტურისტებისა და დამსვენებლების რაოდენობის ზრდას. რეაბილიტაცია 2019 წლის ივნისში დასრულდება.

### ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში

● მდინარე რიონის ჰიდროკვანძზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ქალაქის მერმა გოჩა კურდღელიამ მაჟორიტარ დეპუტატ ირაკლი ხახუბიასთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

იგეგმება ფარების, კაშხლის, ამორტიზებული ელექტროტექნიკისა და სხვა მექანიკური ნაწილების კაპიტალური რემონტი და რეაბილიტაცია. პროექტის მეორე ეტაპზე აღდგენითი სამუშაოები უკვე წყლის ქვეშ დაიწყება.

სარემონტო სამუშაოებზე 1367 815 ლარი დაიხარჯება.

### მარტვილის მუნიციპალიტეტში

● სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში, წაჩხურუს უბანში, მთავარანგელოზის სახელობის ტაძართან მისასვლელი გზის მშენებლობის მეოთხე ეტაპის ფარგლებში დაიგება 1429 მეტრი ასფალტბეტონის საფარი. პროექტი ასევე მოიცავს გრუნტის კიუვეტების, ღია წყალმიღები ბეტონის ცხაურის, ლითონის მილებისა და გზის დამცავი საყრდენი კედლის მოწყობას.

მიმდინარე სამუშაოებს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დავით სურმავა გაეცნო.

● ინჩხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს დაზიანებული ლითონის კონსტრუქციის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები: ხიდის სავალ ზედაპირზე ეწყობა ფოლადის ახალი ფურცლები, რკინაბეტონის საყრდენი კედლები და ლითონის მოაჯირები.

სამუშაოებს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დავით სურმავა შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებთან ერთად გაეცნო.

● მარტვილში გარე განათების ბოძებზე 50-ვატიანი ნათურების მონტაჟი მიმდინარეობს. თავისუფლების ქუჩაზე და ცენტრალურ გზებზე 600 დიოდური ნათურა დამონტაჟდება, ხოლო ანალოგიური სამუშაოები ქალაქის მასშტაბით ეტაპობრივად გაგრძელდება.

### სენაკის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, შშმ პირებს გადასაადგილებელი ეტლები გადასცა.

მუნიციპალიტეტის მერიამ, საერთაშორისო ასოციაციის — „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ — მხარდაჭერით, ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სპეციალური საჭიროების ოთხ მოქალაქეს უსასყიდლოდ გამოუყო ეტლები. მერიის ხელშეწყობით, უკვე სამი წელია ეტლები ურიგდებათ მოქალაქეებს როგორც ქალაქის ტერიტორიაზე, ისე ადმინისტრაციულ ერთეულებში. ეტლები უკვე 41 შშმ პირს გადაეცა.

ყველგანმავალი ეტლის ინოვაციური დიზაინი ადვილად და უსაფრთხოდ გადაადგილების საშუალებას იძლევა, რაც გაუმჯობესებს შშმ პირთა გარემოსთან ადაპტირების ხარისხს

### ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ და მერის პირველმა მოადგილემ გოჩა ჩიქოვანმა სოფელ ახუთში, მდინარე ზანაზე, ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებული სამუშაოები დაათვალიერეს.

2017 წლის 12 ივნისის სტიქიის შედეგად ხიდი დაზიანდა და მისი დემონტაჟი განხორციელდა. ამ ეტაპზე, სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების ფარგლებში, შენდება ახალი სახიდე გადასასვლელი, რომლისთვისაც 780 000 ლარია გამოყოფილი. ხიდის სიგრძე 54, ხოლო სიგანე 10 მეტრი იქნება. აღნიშნული ხიდით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი მარტვილის მუნიციპალიტეტს დაუკავშირდება.

ჩხოროწყუ

# ნათანი და მისი ძმები
## ანუ უხილავი ხელისუფლება

მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა მეტ ნაკლებად დიდი სააგენტოები რეკლამის ხარჯზე არსებობენ. შეიძლება თუ არა მათგან ველოდოთ იმ ადამიანთა ან ორგანიზაციათა კრიტიკას, ვინც მათ ასაზრდოებს? და საერთოდ, შეიძლება თუ არა დავიჯეროთ, რომ ყოველივე, რასაც ისინი ამბობენ და აჩვენებენ სიმართლეა? 2003 წლის 1 თებერვალს ამერიკის შტატ ფლორიდას სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობს არნაირი კანონი, რომელიც ტელეარხს ან გაზეთს პუბლიკის მოტყუებას აუკრძალავდა. თუ დავფიქრდებით, ასეთი კანონი რაღაც თვალსაზრისით უსამართლოც კი იქნებოდა, მთავრობისთვის შეიძლება და პრესისთვის არა? ალერნატიულ თეორიებს მრავალი არ ენდობა. ერთნი მათ „საკმაოდ დაუჯერებლად მიიჩნევენ, რათა სიმართლედ აღიქვან“, სხვები მიიჩნევენ, რომ ადრე თუ გვიან „ყოველივე დაფარული ოფიციალურად გაცხადდება“, და ასე შემდეგ. თანაც შემჩნეულია, რომ პატარა ტყუილების აღმოჩენა უფრო ადვილია, ვიდრე დიდი ტყუილებისა, რადგან არავის უნდა დაიჯეროს, რომ ვიღაცეებს ძალუძთ ამ დონეზე მოტყუება. სხვა სიტყვებით, – ტყუილი სიმართლედ რომ მიიღონ, დიდი

ტყუილები უნდა თქვა, და არა პატარა. ვალებში ჩავარდნილი ადამიანი, მხოლოდ პირობითაა თავისუფალი. მის ცხოვრებაში მრავალი რამ კრედიტორის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. მსოფლიოს ყველა ქვეყანა ვალებშია ჩაფლული, თანაც კერძო ბანკების ვალებში. სახელმწიფოს ფინანსირებაც კაპიტალდაბანდებაა, რაც კრედიტორს უფლებას აძლევს მოვალე სახელმწიფოს მართვის პროცესებში ჩარევისა. იბადება კითხვა, შეიძლება თუ არა ქვეყანა დემოკრატიული იყოს, თუ ის თავის შინაგან თავისუფლებაში გარეთა კრედიტორების ინტერესებით იქნება შეზღუდული?

ადამიანი გასაოცარი ცხოველია. მას იმდენი ხანი უჩიჩინეს დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრობო, რომ ბოლოს და ბოლოს დაიჯერა!

აი, კიდევ ერთი ანბანური ჭეშმარიტება: ადამიანი რაც უფრო ნაკლებად ფიქრობს, მით უფრო ადვილია მისი მართვა (სწორედაც მისწრებაა სამართავად კლუბური თუ სხვა ნარკოტიკით გამოთაყვანებული ძველი თუ ახალი თაობა). თანამედროვე საზოგადოებაში მართვის მიზანი ყოველი ადამიანის მომხმარებლად გადაქცევაა. ვინც გონიერი და დაკვირვებულია, ხედავს სისტემის მიერ დაგებულ ხაფანგებს, რომლებითაც მანიპულირება ძალზედ ძნელია. ამგვარი ადამიანები ყიდულობენ იმას, რაც სჭირდებათ, და არა იმას, რასაც სისტემა ურჩევს. სისტემას ასეთები არ უყვარს, ამიტომაც, ებრძვის მათ გამუდმებით, ახდენს ზეწოლას და აიძულებს კაპიტულაციას. მან გამოიყვანა ახალი ჯიშის ინტელიგენცია, უმეცარი-ენციკლოპედისტები, რომლებიც იმით ამაყობენ, რომ აბსოლუტურად ყველაფერი იციან... რაც სისტემას სურს რომ იცოდნენ. დეზინფორმაციის ოქროს წესია, ინფორმაციის სიჭარბე უკეთესად მოქმედებს, ვიდრე მისი უკმარისობა. რისთვის არის უკეთესი? ინფორმაციის დეზინფორმაციად გადაქცევისთვის. რათა ყოველი ყიდულობდეს არა იმას, რისი ყიდვაც მას სურს, არამედ იმას, რასაც სტანდარტული „ცოდნით“ აღჭურვილი უმრავლესობა ყიდულობს. ყიდვაში კი მარტო ნივთების ყიდვა როდი იგულისხმება. ფართო ასორტიმენტში იყიდება პრეფორმატიული იდეები, „მოდური“ მიმდინარეობები, კულტურული და თვით სულიერი „ღირებულებებიც“ კი.

ყველაფერი ცუდი როდია რასაც სისტემა გვთავაზობს, და არც ყველა ალტერნატიული თეორია და იდეაა აუცილებლად დადებითი, ოღონდ ამაში ადამიანი თვითონ, საკუთარი გონებით უნდა გაერკვეს, ამისთვის კი საჭიროა არ დაგვავიწყდეს გონების ჯეროვანი გამოყენება. ყველა დროის მეფეები და დიქტატორები ხარჯავდნენ იმაზე მეტს, ვიდრე თავისივე ხალხიდან იღებდნენ ხარკის სახით. ამის გამო ერებიც და ქვეყნის მთავრობაც ბანკებისგან მათთვის აუცილებელ თანხას სესხულობდნენ, მაგრამ როგორ დაიბრუნებს ბანკი თავის ფულს, თუკი ზოგიერთ მთავრობას არ შეუძლია, ან არ სურს ვალის გადახდა? პასუხი ერთია – ომით!

მთავრობის ფინანსური საქმიანობა ფუნქციონირებს როგორც საკრედიტო ორგანიზაცია, რომელიც კლიენტს ფულს სესხად აძლევს, რათა მას შეეძლოს, მაგალითად, იყიდოს ავტომობილი, თუ კლიენტს არ შეუძლია გადაიხადოს ყოველთვიური შესატანი, მაშინ მოხდება მანქანის კონფისკაცია. მაგრამ როგორ ხდება ეს? – მეორე მანქანის საშუალებით. მთავრობის დაფინანსების დროსაც ყველაფერი ზუსტად ასე ხდება. უბრალოდ, შეუძლებელია მთელი ქვეყნის ვალში მიცემა, ამიტომაც, საჭიროა იგივე გაუკეთო ამ ქვეყნის მტრებს. კრედიტორი დარწმუნებული უნდა იყოს ორივე ქვეყნის ძალთა თანაფარდობაში, ისე რომ კონფლიქტის შემთხვევაში ყველაფრის გადამწყვეტი ფაქტორი ფული გახდეს; თუ რომელიმე ქვეყანა არ იხდის, მაშინ კრედიტორი მას სჯის ომით მეორე ქვეყანასთან. იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანას მაინც არ შეუძლია ვალის გადახდა, კრედიტორი მოახდენს მის კონფისკაციას სამხედრო რეპრესიების, ანუ მეორე ქვეყნის დახმარებით.

აი უკვე თითქმის 160 წელია როტშილდების სახლი ამ პრინციპების შესაბამისად მუშაობს.

ნათანმა და მისმა ძმებმა ამ თამაშს საფუძველი ჩაუყარეს გასული საუკუნის პირველ წლებში, ნაპოლეონის ლაშქრობების წარმატების შემდეგ. ამ დროისთვის ევროპაში განვითარდა ის, რაც შემდგომ „ძალთა თანაფარდობის“ სახელით გახდა ცნობილი. იმისათვის რათა უფრო განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა, როგორც ევროპის „უჩინარი ბატონისა“, როტშილდების ოჯახისთვის აუცილებელი იყო თანაბარი ძალის მქონე ორი ძლევამოსილი ჯგუფის შექმნა და ძალთა ამ თანაფარდობის რეალობად ქცევა. როტშილდები აგრეთვე დარწმუნებულები უნდა ყოფილიყვნენ რომ ყველა «ა» მეფე და ყველა «ბ» მეფე ერთმანეთს საფრთხეს უქმნიან. ამავე დროს, რასაკვირველია, ორივე ქვეყანა როტშილდებისგან ფანანსდებოდა. ამასთან, უსაფრთხოებისათვის, ანუ იმ შემთხვევისთვის, თუ ერთი მხარე უარს იტყოდა მისთვის დადგენილი წესებით თამაშზე, არენაზე უნდა გამოუსულიყო მესამე ძალაც, რომელიც პოლიციის როლს შეასრულებდა. ასეთი ქვეყანა იყო ნათანის ინგლისი, რომელსაც აღმატებული ძალაუფლება გააჩნდა ევროპაში.

ომის შემდეგ, ყოველთვის შეიძლებოდა ეწინასწარმეტყველათ გამარჯვება იმის მიხედვით თუ ვის მხარეზე იყო ინგლისი, ბოლოს და ბოლოს ის ყოველთვის გამარჯვებულის მხარეს იყო. აქედან გამომდინარე, ინგლისი წარმოადგენდა თავისებურ ეფექტურ „სამეფო-საკონფისკაციო სამსახურს“ და მისი დახმარებით როტშილდების სახლმა ისეთ ძლევამოსილებას მიაღწია, რომ გასული საუკუნის ბოლოს ის მთელი მსოფლიოს ქონების ნახევარს აკონტროლებდა. პირველი მსოფლიო ომის მიზეზებს ბევრი ავტორიტეტული გამოკვლევა მიეძღვნა, მაგრამ ჰელზინგი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების შესახებ სრულიად ახალ ინტერპრეტაციას იძლევა. კერძოდ, ის მიუთითებს: გერმანელ სახელმწიფოთა კავშირმა ბისმარკის დროს დაარღვია „ძალთა თანაფარდობა“, რომელიც შენარჩუნებული იყო ევროპაში თითქმის 200 წელი. 1871 წლამდე ევროპის კონტინენტზე ერთპიროვნულად ბატონობდა ინგლისი. თუმცა უმაღლეს ხელმძღვანელობას დრო და დრო ხან ესპანეთი მიიტაცებდა, ხან საფრანგეთი, მაგრამ საბოლოოდ ინგლისი უცილობლად იმარჯვებდა. გერმანიის გაძლიერება, კოლონიების შეძენითა და სამხედრო ძლიერების გაზრდით, ილუმინატებისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა, როგორც ეკონომიკური, ასევე სამხედრო თვალსაზრისით.

უკუქმედების საშუალებების ძებნაში, საერთაშორისო ბანკირები, რომლებმაც იმ დროისთვის უკვე მთლიანად გამორიცხეს გერმანია თავისი ეკონომიკური განვითარების პროგრამიდან, ცდილობდნენ დაერთგუნათ და გაეკონტროლებინათ იგი. 1894–1907 წლებში სახელმწიფოებს შორის დაიდო მთელი რიგი შეთანხმებები, რომელთა ჩარჩოებშიც რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი და სხვა სახელმწიფოები, გერმანიასთან ომის შემთხვევაში, გაერთიანდებოდნენ.

„კომიტეტ 300“-ს დაევალა შეემზადებინა I მსოფლიო ომის სცენა... „მრგვალი მაგიდის“ ჯგუფიდან შეიქმნა მოწინავე ორგანიზაცია **„RIIA“** (საგარეო საქმეთა სამეფო ინსტიტუტი „ჩეტემ-ჰაუზის“ სახელწოდებით). მის დამაარსებელთა შორის იყვნენ ისეთი ადამიანები, როგორებიც არიან: ალბერტ ლორდ გრეი, ლორდ ტოინბი, მწერალი ჰ.ჯ. უელსი, „მრგვალი მაგიდის“ ხელმძღვანელი ლორდი ალფრედ მილნერი, აგრეთვე ეგრედ წოდებული გეოპოლიტიკის დამფუძნებელი ჰ.ჯ. მაკკინდერი.

**RIIA**-მ „კომიტეტ 300“-დან მიიღო დავალება გულმოდგინედ გამოეკვლია რა სახის სცენარით შეიძლებოდა ამ ომის დადგმა. ეს მისია პირადად დაეკისრათ ლორდ ნორტკლიფს, ლორდ როტმერს (ორივე „კომიტეტ 300“-ის წევრი გახლდათ) და არნოლდ ტონბის MI 6-დან. გამოკვლევები მიმდინარეობდა „ველინგტონ ჰაუსში“, სადაც შედგა სხდომები ცნობიერების შტურმით დაპყრობის პრინციპით. უნდა დამუშავებულიყო ისეთი ხერხები და ძიება წარმართულიყო ისეთი გზით, რომ შესაძლებელი გამხდარიყო საზოგადოებრივი აზრის შემობრუნება, რათა მოსახლეობას თვითონ მოეთხოვა ომის დაწყება.

მშრომელები სრულებით არ უფიქრდებოდნენ იმას, რომ მათ მოუხდებოდათ საკუთარი შვილის სასიკვდილოდ გაგზავნა...

ოკეანის გაღმა 26-ე ამერიკელმა პრეზიდენტმა, თეოდორ რუზველტმა, 1912 წელს საარჩევნო პროგრამაში განაცხადა: „ხილული ხელისუფლების უკან, ტახტზე ზის უხილავი ხელისუფლება, რომელიც სრულებით არ ენდობა ხალხს და არავის პასუხისმგებლობას არ იღებს საკუთარ თავზე. ამ უხილავი ხელისუფლების განადგურება, კორუმპირებული საქმიანობისა და კორუმპირებული პოლიტიკოსების უღმრთო კავშირების დარღვევა – აი, რა არის სახელმწიფო მოღვაწის ამოცანა“ (დიტერ რიუგჰებერგი: „საიდუმლო პოლიტიკა“, გვ.: 75).

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# არაპროგნოზირებადი ტრამპი და არაპროგნოზირებადი მსოფლიო

ირანთან ბირთვული პროგრამის ხელშეკრულების გაფორმებას წინ ხანგრძლივი რთული მოლაპარაკებები უძღვოდა. დიალოგში მსოფლიოს 6 გავლენიანი ქვეყანა იყო ჩართული: ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი და, თავისთავად, ირანი. ხელშეკრულება საბოლოოდ 2015 წელს გაფორმდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით, რომელიც ირანისთვის შიდა პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, იოლი ნამდვილად არ იყო. თუმცა შეთანხმება გაფორმდა და სამყარომ შვებით ამოისუნთქა — ირანთან შეიარაღებული დაპირისპირება დღის წესრიგიდან მოიხსნა.

წვალებით მიღწეული შეთანხმება გასულ კვირას, სამშაბათს, აშშ-მა ერთი ხელის მოსმით ცალმხრივად გააუქმა, როდესაც დონალდ ტრამპმა მემორანდუმს მოაწერა ხელი. ერთი შეხედვით ეს მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, რადგან ტრამპი აღნიშნულ ხელშეკრულებას ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში აკრიტიკებდა და ყველაზე ცუდ შეთანხმებას უწოდებდა. თუმცა გერმანიის და საფრანგეთის პირველი პირები ყველა ღონეს იყენებდნენ, გადაეფიქრებინათ ტრამპისთვის შეთანხმებიდან გამოსვლა, მაგრამ მერკელისა და მაკრონის ვიზიტი აშშ-ში უშედეგოდ დასრულდა.

ბირთვული პროგრამის გარანტორი ქვეყნები არ აპირებენ მხარი დაუჭირონ ტრამპს და აცხადებენ, რომ გააგრძელებენ ირანთან თანამშრომლობას. ტრამპის გადაწყვეტილება ხელშეკრულების ერთ-ერთი ავტორის, ბარაკ ობამას გარდა, ექსპრეზიდენტმა ჯიმი კარტერმაც გააკრიტიკა. მისი განცხადებით, შეთანხმებიდან გამოსვლა ტრამპის უდიდესი შეცდომაა. ევროკომისარმა ფედერიკა მოგერინმა სიმკაცრე გამოიჩინა და განაცხადა, რომ ირანთან ბირთვული პროგრამის შეთანხმება საერთაშორისო დონისაა, ამიტომ არავის აქვს უფლება მისი ცალმხრივად გაუქმებისო.

დონალდ ტრამპის გადაწყვეტილებას დასავლური პრესა სულ უფრო ხშირად აკრიტიკებს. მით უფრო, როდესაც ტრამპის გადაწყვეტილებით, ირანის მიმართ სანქციები კიდევ უფრო გამკაცრდება, ვიდრე ეს 2015 წლამდე იყო. ამერიკულ პრესასში ამაზე წერენ „... ტრამპი ცეცხლს ეთამაშებაო“. საინტერესოა, რომ დონალდ ტრამპის გადაწყვეტილებას მხარი მხოლოდ ისრაელმა და საუდის არაბეთმა დაუჭირა. როგორც ტრამპმა განაცხადა, იგი ახალი ხელშეკრულების გაფორმებას აპირებს. ამასთან, მისი ერთ-ერთი მოთხოვნაა, დაუშვან ამერიკელი ექსპერტები ირანის სამხედრო ობიექტებზე. ექსპერტების განცხადებით, ირანელები ამას არაფრით არ დათანხმდებიან.

პოლიტოლოგების თქმით, ირანთან ბირთვული შეთანხმება მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი დიპლომატიური წარმატება იყო, ახლა დიპლომატიამ ფასი დაკარგაო. მათივე განცხადები, ყველაზე ცუდი იქნება, თუ ირანი გააგრძელებს ბირთვული იარაღის წარმოებაზე მუშაობას. პოლიტოლოგები აღნიშნავენ ასევე, ირანის ოფიციალური ხელისუფლების თავშეკავებას, რომლებიც აცხადებენ, რომ, მიუხედავად აშშ-ის ქმედებისა, შეთანხმებაში რჩებიან.

ევროპელი პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ აშშ-მა დაკარგა უპირველესი მოკავშირეების: დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის მხარდაჭერა. დასავლური პრესის ცნობით, მაკრონის ვიზიტმა აშშ-შ-, ქვეყანაში მისი რეიტინგი საგრძნობლად დასცა. სავარაუდოდ, ამიტომაც აცხადებენ ევროპელი ჟურნალისტები, რომ ევროპა არავის ვასალობას არ აპირებს.

ირანის გარდა, ევროპელები ცდილობენ დაიცვან თავიანთი ეკონომიკური ინტერესები რეგიონში და კონკრეტულად, ირანში. ექსპერტებს უჭირთ, განსაზღვრონ მომავალი, ტრამპმა მეწარმეებს 90-დღიანი ვადა მისცა თავიანთი ბიზნესის ბედის გადასაწყვეტად. ირანისთვის დაწესებული სანქციების ამოქმედების შემდეგ სანქციები იმ ქვეყნებსაც შეეხება, ვინც ირანთან ითანამშრომლებს. თუმცა ევროკავშირის ქვეყნები უბრძოლველად დანებებას არ აპირებენ. ისინი მზად არიანმ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაასაჩივრონ ირანისთვის დაწესებული სანქციები. როგორც ჩანს, „სავაჭრო ომი“ დონალდ ტრამპმა მსოფლიოს გამოუცხადა, როგორი შედეგით დასრულდება ის, მომავალი გვიჩვენებს.

ბირთვული ხელშეკრულებიდან გამოსვლით დონალდ ტრამპმა საერთაშორისო ორგანიზაციების გულისწყრომაც გამოიწვია. ატომური ენერგიის მსოფლიო ორგანიზაციის (რომლის ექსპერტებიც აწვდიან გაეროს დასკვნებს) დირექტორის მოადგილემ პროტესტის ნიშნად თანამდებობა დატოვა.

ჩრდილოეთ კორეას გასულ კვირას აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკლ პომპეო ეწვია ოფიციალური ვიზიტით. კიმ ჩინ ინისა და პომპეოს მოლაპარაკებისას გადაწყდა, რომ დონალდ ტრამპთან პირისპირ შეხვედრა 12 ივნისს გაიმართება. ამის გარდა, პომპეომ ჩრდილოეთ კორეის ციხიდან წაიყვანა კორეული წარმოშობის ამერიკის სამი მოქალაქე, რომლებიც სასჯელს ჯაშუშობისთვის იხდიდნენ. აშშ-ში ჩასულებს თავად დონალდ ტრამპი დახვდა, რომელმაც კვლავ იტრაბახა თავისი განსაკუთრებულობით.

ექსპერტები იხსენებენ, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან აშშ და ჩრდილოეთ კორეა რამდენჯერმე ახლოს იყვნენ შეთანხმებასთან, მაგრამ ბოლო მომენტში რატომღაც ჩაიშალა მოლაპარაკებები. პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ კიმ ჩინ ინი ახლა ეცდება, მაქსიმალურად მიიღოს სასურველი შედეგი. თუმცა არ გამორიცხავენ, ტრამპმა მიატოვოს მოლაპარაკების მაგიდა და კარი გაიჯახუნოს. მისი ხასიათიდან გამომდინარე, ყველაფერი მოსალოდნელია. თუმცა დაველოდით, ორი ქვეყნის ხელმძღვანელის შეხვედრამდე თვეზე ნაკლებია დარჩენილი.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
**ტელ.:** 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

– მსურს, დისშვილთან გავაფორმო სამისდღეშჩიო რჩენის ხელშეკრულება. გთხოვთ, მოგვაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია.

– თქვენთვის საინტერესო საკითხი რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 28 თავით, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

– მუხლი 941. ცნება

პირი, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გადახდას (მარჩენალი), მოვალეა გადაუხადოს იგი სარჩოს მიმღებს (სარჩენს) მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. სამისდღეშიო სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით).

მუხლი 942. ხელშეკრულების ფორმა

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

მუხლი 943. სარჩოს ოდენობა

სამისდღეშიო სარჩოს ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 944. სარჩოს გადახდის ვადები

სარჩოს გადახდის ვადები დგინდება მისი ხასიათიდან და მიზნებიდან გამომდინარე, მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 945. გადაცემული ქონების გასხვისების დაუშვებლობა

1. სარჩენის სიცოცხლეში მარჩენალს უფლება არა აქვს გაასხვისოს, დააგირაოს ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება სარჩენის წერილობითი თანხმობის გარეშე. მარჩენალის ვალების გამო გადახდევინების მიქცევა ამ ქონებაზე დაუშვებელია.

2. როცა სარჩენი მარჩენალს გადასცემს უძრავ ქონებას, მაშინ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მას აქვს იპოთეკის უფლება ამ ქონებაზე.

მუხლი 946. შედავება სარჩოს გადახდის გამო

სამისდღეშიო სარჩოს გადახდა შეიძლება საცილო გახადონ სხვა პირებმა, რომელთაც ჰქონდათ კანონიერი უფლება მიეღოთ სარჩო მარჩენალისაგან, მაგრამ ვერ მიიღეს იმის გამო, რომ მარჩენალი იხდის სამისდღეშიო სარჩოს. ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში ქონება უბრუნდება სარჩენს.

მუხლი 947. ნატურალური სარჩოს გადახდა

ნატურალური სარჩოს გადახდის ხელშეკრულებაში მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ ნატურალური სარჩოს შეცვლა ფულით.

მუხლი 948. გადაცემული ქონების შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი

მარჩენალისათვის გადაცემული ქონების შემთხვევით დაღუპვა ან დაზიანება არ ათავისუფლებს მას სარჩოს გადახდისაგან.

მუხლი 949. უარი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე

1. როგორც მარჩენალს, ისე სარჩენს შეუძლიათ უარი თქვან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე, თუკი სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევის შედეგად მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, ანდა სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის მის გაგრძელებას.

2. გადაცემული უძრავი ქონება ხელშეკრულების შეწყვეტისას უბრუნდება სარჩენს, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული ხარჯები მარჩენალს არ უნაზღაურდება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 950. მარჩენალის გარდაცვალების შედეგები

1. მარჩენალის გარდაცვალებისას რჩენის ვალდებულება გადადის მის იმ მემკვიდრეებზე, რომლებმაც მიიღეს გადაცემული ქონება.

2. მემკვიდრის მიერ ამ ვალდებულებაზე უარის თქმის შემთხვევაში ეს ქონება უბრუნდება სარჩენს. ამ დროს ხელშეკრულება წყდება.

* * *

– **წარმოშობს თუ არა სამართლებრივ შედეგებს ჯვრისწერა?**

– ეს შეკითხვა ხშირად შემოდის რედაქციაში. ჭორებისა და გავრცელებული საუბრების ფონზე, მოქალაქეები ფიქრობენ, რომ ჯვრისწერა, სამოქალაქო ქორწინების მსგავსად, არის სამართლებრივი შედეგების საფუძველი. ეს მცდარი აზრია. ჯვრისწერა არ წარმოშობს ნსამართლებრივ შედეგებს. ამიტომ ყველას ვურჩევ, ჯვრისწერასთან ერთად, ქორწინება გააფორმონ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლი: ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობა

მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრირებული ქორწინება.

* * *

– **ჩემი ქალიშვილი იყო დანიშნული. საქმრომ ჩაშალა ნიშნობა. შეგვიძლია თუ არა, შევიტანოთ სასამართლოში სარჩელი და მოვითხოვოთ დაქორწინება?**

– არა, არ შეგიძლიათ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1109 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ნიშნობა არ არის სასამართლოში იძულებითი დაქორწინების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველი.

ამასთან დამატებით გაცნობებთ, რომ ხსენებული მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ.

# ეგვიპტის მმართველი ფარაონი ქალები

**ათასობით წლის განმავლობაში ეგვიპტეს მამაკაცები მართავდნენ, მაგრამ ამ ქვეყნის ისტორიაში იყო ხუთი არაჩვეულებრივი ქალი, რომლებიც ფარაონის ტიტულს ფლობდნენ...**

### „მშვენიერი ნეიტის" ტრაგედია

ნიტოკრისი, იგივე „მშვენიერი ნეიტი" გახდა ისტორიაში პირველი რეგენტი. მოგვიანებით მან სამეფო ძალაუფლება მოიპოვა, რასაც წინ ტრაგიკული მოვლენები უძღოდა.

ჰეროდოტეს ცნობით, ნიტოკრისი ტახტზე თავის მცირეწლოვან ძმასთან, მერენრასთან ერთად ავიდა ფარაონ პეპი II-ის გარდაცვალების შემდეგ, რომელმაც 94 წელი იმეფა. მისი ძმა შეთქმულების შედეგად გარდაიცვალა და რეგენტმა ხელში აიღო ძალაუფლება. ქალმა სამაგიეროდ გადაუხადა თავისი ძმის მკვლელებს — მათთვის მდიდრული წვეულება მოაწყო, ყველა გასასვლელი ჩააკეტინა და ნილოსის წყალი მიუშვა, სიცოცხლე კი თვითმკვლელობით დაასრულა.



თანამედროვე ეგვიპტოლოგებს ეჭვი შეეპარათ არსებული ინფორმაციის სისწორეში. ჯერ ერთი, შეუძლებელი იყო, მოხუც პეპის მცირეწლოვანი შვილი ჰყოლოდა და მეორეც, ძმის სიკვდილის გამო ნეიტიკერტი თავს არ მოიკლავდაო. ახალი ვერსიით, მერენრა დედოფალ ნეითის შვილი და პეპის შვილიშვილი იყო. შვილის დაღუპვით გამოწვეული დედის ტრაგედია გასაგები ხდება.

ფარაონ ნიტოკრისს არაფერი ღირსშესანიშნავი არ გაუკეთებია, იგი ისტორიაში დარჩა, როგორც დედოფალი, რომელსაც ფარაონის ტიტული ჰქონდა და შურისმაძიებელი, რომელმაც ნებაყოფლობით დატოვა მიწიერი ცხოვრება.

### „ზემო და ქვემო ეგვიპტის კეთილი ქალიშვილი"

ასწლეულების შემდეგ ეგვიპტის ორმაგი გვირგვინი კვლავ ქალს ერგო და ესეც მოვლენებმა განაპირობა. ნეფრუსებეკმა ტახტი დაიკავა

საკუთარი ძმის ამენმხეტის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც ქვეყანას 9 წლის განმავლობაში მართავდა. ქალს, რომელმაც მამაკაცის ტიტული მიიღო, ქვეყანა სიფრთხილით ეკიდებოდა.

ნეფრუსებეკმა მისი ტიტულის შესაფერისი ყველა პატივი მიიღო. ქურუმებმა დაასახელეს მისი ხუთი საიდუმლო სახელი, რომლებიც, ჩვეულებრივ სახელთან ერთად, ოვალურ ჩარჩოში ჩასმული, წარმოადგენდა კარტუშს — ფარაონის პირად დამღას. მამაკაცის ტიტულის მატარებელი დედოფალი მამაკაცივით უნდა ყოფილიყო — ეტარებინა პარიკი და წვერი. ამგვარად, იგი კარგავდა სქესობრივ კუთვნილებას და უმაღლესი არსების, ცოცხალი ღმერთის სახეს იღებდა.

ოთხი წლის მმართველობის პერიოდში მან განახორციელა დამპყრობლური ლაშქრობა ნუბიაში, განაგრძო პირამიდების მშენებლობა მერიდის ტბაზე, სადაც მიწისქვეშა ლაბირინთები გაიყვანეს და რომელთა მშენებლობა ჯერ კიდევ მისმა ბაბუამ დაიწყო. მას მოულოდნელად ეახლა სიკვდილი. ერთი-ერთი გადმოცემის თანახმად, იგი ჩინოვნიკმა მოკლა, რომელიც შეთქმულებას ხელმძღვანელობდა. შესაძლოა, ეს ვერსია ნამდვილ ამბებს ეფუძნება, რადგან ნეფრუსებეკის სიკვდილის შემდეგ ქვეყანაში არეულობები დაიწყო.

### „ორივე მიწა მისთვის მუშაობდა დიდი მონდომებით"

სამი საუკუნის შემდეგ ხატშეპსუტმა ორი თავისი წინამორბედის გამოცდილება გაიზიარა. იგი ძალაუფლებისკენ შეგნებულად მიდიოდა, არ აპირებდა ხელიდან მართვის სადავეების გაშვებას და შედეგად, ძველი ეგვიპტის ისტორიაში ყველაზე ცნობილი მმართველი გახდა.

თავიდან ეს არაჩვეულებრივი ქალი გახდა თავისი გარდაცვლილი ქმრის ვაჟის რეგენტი, რომელიც ხარჭისგან ჰყავდა. „ფარაონის წმინდა მეუღლეს" კარგად ესმოდა, რომ, როგორც ქალი ის დიდხანს ვერ შეინარჩუნებდა ტახტს. ამიტომ ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში მიიღო მამაკაცის სამეფო სახელი, რაც უფლებას აძლევდა, სრულ ძალაუფლებაზე განეცხადებინა პრეტენზია. და როდესაც ამ ყოჩაღმა ქალბატონმა თავი ფარაონ მაატკარად გამოაცხადა (სრულიად კანონიერ საფუძველზე), ქურუმები იძულებული გახდნენ, ეკურთხებინათ იგი, როგორც მამაკაცი, ხოლო ქვეშევრდომებმა კი მმართველად აღიარეს.

ხატშეპსუტმა მემკვიდრეობად მიიღო სტაბილური ქვეყანა ძლიერი არმიითა და სოლიდური ოქროს მარაგით და ღირსეულად განაგებდა ყოველივეს. განსაკუთრებულ ყურადღებას ფარაონი-ქალბატონი სოფლის მეურნეობას უთმობდა, გლეხებს უსასყიდლოდ ეძლეოდათ მიწის ნაკვეთები და ფულადი სესხები მონების შესძენად. ხანშეპსუტსის ბრძანებით ქვედა ეგვიპტეში დაიწყეს ქალაქების აღდგენა და ნილოსის დელტაში ნოყიერი მიწების დამუშავება. ამასთან, ის კარგად აფინანსებდა არმიას, როცა ჯარისკაცებს ომი მოენატრათ, ექსპედიციაში გაუშვა ხუთი დიდი ხომალდით პუნტში (ტერიტორია სუდანისა და ეთიოპიის საზღვარზე). ნახევარი წლის შემდეგ მოგზაურები შინ დაბრუნდნენ: პუნტი მათ დამორჩილდა და ისინი დიდი ალაფით დაბრუნდნენ შინ.



ნიჭიერმა არქიტექტორმა სენმუტმა ხატშეპსუტის საკუთარი ტაძარი აუგო. ეს შენობა იმდენად უნიკალური აღმოჩნდა, რომ XX ს-ში მისი ელემენტები გაოიყენეს ლენინის მავზოლეუმისა და ემპაიასტეიტ ბილდინგის მშენებლობისას. სენ-მუტი არა მარტო სამეფო კარის არქიტექტორი გახლდათ, არამედ დიდებულიც, რომელიც თავის დედოფალზე იყო შეყვარებული. ცნობილია, რომ ხატშეპსუტიც არ იყო მის მიმართ გულგრილი, ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ მათი გრძნობები პლატონური იყო.

### ტაუსერტი

რამდენიმე ხნის შემდეგ ორი სამეფოს ტახტზე კვლავ აღმოჩნდა ქალი-ფარაონი. ტაუსერტი გახლდათ ფარაონ სეტი II-ის მეუღლე. სამწუხაროდ, ის უშვილო იყო. ამიტომ, როცა მისი ქმარი გარდაიცვალა, ტახტზე მისი ვაჟი



საპტახი ავიდა, ხოლო დედოფალი იძულებული გახდა, რეგენტობას დასჯერებოდა. მაგრამ მცირეწლოვან საპტახზე დიდი გავლენა ჰქონდა ვინმე ბაის, რომელიც „ბეჭდის მცველი" იყო, სინამდვილეში კი „რუხი კარდინალი" გახლდათ. ტაუსერტმა შეძლო ამ დიდებულის მორჯულება. შემორჩენილია ჩანაწერი იმის შესახებ, რომ მმართველობის მეხუთე წელს ბაი სიკვდილით დასაჯეს. ერთი წლის შემდეგ კი გაურკვეველი მიზეზით გარდაიცვალა თვითონ საპტახი და დედოფალმა ტახტი დაისაკუთრა. საინტერესოა, რომ მწერლები მასთან მიმართებაში იყენებდნენ ქალისა და მამაკაცის ტიტულებს — შესაძლოა, ტაუსერტი თავადაც ვერ გაერკვა, რა ერჩივნა, ყოფილიყო ქალი-მმართველი თუ მამაკაცი-ფარაონი.

წყაროების ცნობით, ტაუსერტის მმართველობისას სირიელ ირსუს უნდოდა ეგვიპტის დაპყრობა. ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყო. სავარაუდოდ, სწორედ ამ დროს გარდაიცვალა დედოფალი. მიზეზი უცნობი დარჩა. მის შემდეგ მმართველობაში მოსულმა სეტნახტმა ყველაფერი გაანადგურა, მისი მუმიაც კი. ფარაონის ქცევა მეტყველებს ძალაუფლებისთვის ბრძოლასა და მარცხზე, რომელიც ტაუსერტმა განიცადა.

### კლეოპატრა „ფარაონების ქვეყნის უკანასკნელი მმართველი"

ეგვიპტის უკანასკნელი მმართველის კლეოპატრას დაბადების დროისათვის კემტის დიდებული მიწა რომის ხელში მარიონეტად იქცა. ყველაფერი, რაც მის შესახებ არის ცნობილი, იმპერატორ ოქტავიანის ბრძანებით არის დაწერილი, რომელიც ვერ იტანდა დედოფალს. კლეოპატრა წარმოდგენილია, როგორც უგულო, ვერაგი გარყვნილი ქალი, რომელიც საკუთარმა ეშმაკობებმა შეიწირა.

კლეოპატრა ძალიან განათლებული ქალი იყო. მან 9 ენა იცოდა. მისი ბიოგრაფები თვლიან, რომ იგი არაჩვეულებრივად მომხიბლველი და ჭკვიანი იყო, რაც მამაკაცებს უფრო ძლიერ იზიდავდა, ვიდრე მისი გარეგნობა.

მასთან ხანმოკლე ურთიერთობის შემდეგ თავისი ეპოქის უჭკვიანესი მამაკაცი იულიუს ცეზარი თანამოსაუბრით აღფრთოვანებული იყო. მათი ურთიერთობები სასიყვარულო კავშირით არ შემოიფარგლებოდა. ისტორიკოსები თვლიან, რომ ორ მმართველს სურდა იმპერიის შექმნა, რომლის შემადგენლობაში აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნები შევიდოდა. ამ იდეის განხორციელებას ცეზარის გარდაცვალებამ შეუშალა ხელი.

კლეპატრას ცხოვრების მეორე მამაკაცი მარკუს ავრელიუსიც მისი ხიბლის მსხვერპლი გახდა. მათი გეგმების ასრულებას ხელი ოქტავიანმა შეუშალა, ანტონიუსის ცოლის ძმამ. საყვარლებს ნამდვილი ომი გამოუცხადეს. ოქტავიანის ერთგულმა ჯარებმა ყველა ბრძოლა მოიგეს და კლეოპატრამ გადაწყვიტა დამალულიყო, ვიდრე ძალაუფლებას და სიცოცხლეს დაკარგავდა. ანტონიუსმა მისი დაღუპვის ამბავი გაიგო და ხმალზე წამოეგო. ახლა კი კლეოპატრამ ნამდვილად დაკარგა ყველაფერი. ოქტავიანი ემუქრებოდა, რომ ბორკილებს დაადებდა მას. ქალს ამის ატანა არ შეეძლო და თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე და ამით დასრულდა ქალთა მმართველობის ისტორია ეგვიპტეში.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

**ცნობილი ექიმი-სექსოლოგი არკადი მოროზოვი**
**კურნავს ასაკობრივ და სხვა მიზეზებით**
**გამოწვეულ სქესობრივ დისფუნქციებს.**
**არკადი მოროზოვს შეგიძლიათ**
**დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე:**
**577 43 25 13**



საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ
შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983